ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი
№7-8, ნოემბერ-დეკემბერი 2018

გილოცავთ შობა-ახალი წლის

ახალ წელიწადს წლის თავსა
გიკვლევ ვაზისა რქითამცა!
თქვენიცა სახლი ამსილა
ტყავ–კაბა–ზარბამბითამცა!..
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოთ,
მოყვარე მრავალ გზითამცა!
პური–ღვინო ულეველი,
ვით მოდინარე წყლითამცა!
სიცოცხლე გახარებული
მოუწყინარი დღითამცა!
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას,
ვით თაფლი ფუტკრის სკითამცა!
უხვადაც მოგეცემოდეთ
თვალ–მარგალიტი ზღვითამცა!

(ხალხური)

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს და თანამშრომლებს, გულითადად გილოცავთ დამდეგ ახალ წელს.

მინდა, ვუსურვო პროფესორ-მასწავლებლებს იყვნენ ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემოს მშენებლები. თქვენი ყოველდღიური დაუღალავი შრომით, მყარ საფუძველს ქმნით საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღისთვის.

განათლება ჩვენი მთავრობის გაცხადებული პრიორიტეტია! ნებისმიერი სახელმწიფოს პროგრესი სწორედ ახალგაზრდულ ენერგიაზე დგას. ჩვენ მივისწრაფვით იმგვარი გარემოს ჩამოყალიბებისაკენ, სადაც თითოეული ახალგაზრდა იქნება თანაბარუფლებიანი, ინფორმირებული და

ექნება განვითარების მრავალმხრივი შესაძლებლობა. მზად ვართ, მხარი დავუჭიროთ სტუდენტების მხრიდან წამოსულ ყველა ქმედით იდეას და ინიციატივას.

ძალიან მნიშვნელოვანია ის პროექტები, რომლებიც უნივერსიტეტის განვითარებისთვის ხორციელდება. შენდება ახალი სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები სტუდენტებისთვის. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პარალელურად, აქტიურად ხორციელდება სტუდენტთა განათლების ხელშეწყობის პროგრამა. 2018 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჩანგშას ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რაც 100-მდე სტუდენტს ჩინეთის ერთ-ერთ წამყვან უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობას მისცემს.

გარწმუნებთ, რომ ჩვენი მხრიდან მაქსიმალურს გავაკეთებთ, რათა შეძლოთ თქვენი შესაძლებლობების რეალიზება.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს და გისურვებთ 2019 წელი იყოს მიღწევების, წინსვლის, წარმატების მომტანი ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი რეგიონისთვის.

თორნიკე რიჟვაძე,
აჭარის ა.რ. მთავრობის თავმჯდომარე

აქ მხოლოდ იმედი და მომავალია!

საუკუნემ კიდევ ერთი წელი ჩააბარა წარსულს. უკან დარჩა 2018, წელი მიღწევების, გამოწვევების. ჩვენი ქვეყანა 2019 წელს სიახლეების, წარმატებების, წინსვლის, გამთლიანების იმედით ხვდება. თითოეულ ჩვენგანს გულწრფელად სურს უკეთეს საქართველოში იცხოვროს და ამისათვის მუხლჩაუხრელი ბრძოლაა საჭირო, რადგან ყოველი ახალი დღე ბადებს ხვალინდელ დღეს.



ბათუმის სახელწიფო უნივერსიტეტი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელთა შორის ერთ-ერთია, რომელიც ჩვენს უკეთეს მომავალს ქმნის - სპეციალისტები, რომლებიც ამ კედლებში იზრდებოდნენ და იზრდებიან, ყოველთვის ამბობდნენ თავიანთ სათქმელს რეგიონისა და ქვეყნის ცხოვრებაში. ლექტორ-მასწავლებელთა თაობები უდიდესი პასუხისმგებლობით ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს, ვინაიდან მხოლოდ განათლებულ, თავისი პროფესიის უბადლოდ მცოდნე სპეციალისტებს შეუძლიათ აკეთონ საქმე.

აქ, ამ კედლებში, სადაც გაიარა ჩემმა სტუდენტობამ და პედაგოგიური მოღვაწეობის წლებმა, იმედის, სინათლის ნაკლებობა არასდროს ყოფილა, ვინაიდან აქ არა მხოლოდ ფასდაუდებელი წარსული და დღევანდელობა, არამედ ჩვენი მომავალია, მომავალი, რომელიც თქვენს ხელთაა. გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას! ჯანის სიმრთელე, დღეგრძელობა, ხვავ-ბარაქა, დოვლათი, წინსვლა და სიყვარული დაგბედებოდეთ! მჯერა, 2019 სიკეთისა და წარმატებების მომტანი იქნება თითოეული თქვენგანისა და ჩვენი ქვეყნისათვის!

პატივისცემით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე
დავით გაბაიძე

გილოცავთ დამდეგ შობა ახალ-წელს სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციას და უნივერსიტეტის თითოეულ გულშემატკივარს. პირველ რიგში, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას და თქვენ მიერ აღებული გეზის ღირსეულად გაგრძელებას გისურვებთ. 2019 წელი საინტერესო და გამოწვევებზე დროულად პასუხის გაცემის წელი ყოფილიყოს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი 84-ჯერ ეგებება ახალ წელს. ისტორიულად, რეგიონში მოქმედი პირველი უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ზღვისპირას დგას, ერთგულად ემსახურება თაობების აღზრდას. ჩვენს პროფესურას აქვს გაცნობიერებული, რომ ყოველი წელი ახალი გამოწვევაა, კონკურენცია იზრდება და თაობათა სამსახურში მყოფთ ინოვაციური გეგმების დასახვა გვესაჭიროება.

ჩვენი უნივერსიტეტი თავისი არსებობის უმნიშვნელოვანეს ეტაპზეა. 2018 წელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის წარმატებული იყო. მოვიპოვეთ ავტორიზაცია, ეტაპობრივად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია, უკვე რამდენიმე პროგრამამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია, განახლდა ინფრასტრუქტურა, განათლების ინტერნაციონალიზაციის მიზნით განხორციელდა არაერთი საერთაშორისო პროექტი. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი პროფესორის, სტუდენტის და ადმინისტრაციული პერსონალის ერთობლივი მუშაობის შედეგია.

2019 წელი ჩვენი უნივერსიტეტისათვის, თითოეულ თქვენგანისათვის მეტი საქმის კეთების, რწმენის, ურთიერთსიყვარულის, თანადგომის, გარჯის, სიკეთის ქმნის, პირადი ბედნიერების სრულყოფისა და ოცნებების ასრულების წელი ყოფილიყოს.

მერაბ ხალვაში, ბსუ-ს რექტორი

ბსუ – ბორჯომისთვის

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, ბორჯომში, კამპანიის „ბსუ ბორჯომის ტყის აღსადგენად“ ფარგლებში, განადგურებული ტყის ხელახალი განაშენიანების აქცია გამართა.

ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებმა, უნივერსიტეტის რექტორმა და პროფესორ-მასწავლებლებმა ბორჯომის პლატოს ტერიტორიაზე, რომელიც მავნებლებითაა დაზიანებული და მიმდინარეობს აღდგენითი პროექტი, უნივერსიტეტის სათბურში გამოყვანილი ნაძვის, ფიჭვის, სოჭისა და ქართული მუხის 800-მდე ნერგი დარგეს.

ბორჯომის ტყის მწვანე საფარის აღსადგენად ტექნოლოგიური ფაკულტეტის ბაზაზე არსებულ სათბურში სტუდენტებმა პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად ნერგების გამოყვანა ერთი წლის წინ დაიწყეს.

კამპანიის ფარგლებში, სტუდენტებმა ბორჯომის ხეობაში, სოფელ დაბაში, 2008 და 2017 წლის აგვისტოს თვეში ხანძრით დაზიანებულ ტერიტორიაზე მეტყევე-სპეციალისტების ზედამხედველობით, ეროვნული სატყეო სააგენტოს სანერგეებში გამოყვანილი წიწვოვანი სახეობის 50-მდე ნერგი დარგეს. ასევე, ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ნათია იორდანიშვილმა სტუდენტებს ნახანძრალი ტყის აღდგენის პროექტი გააცნო.

კამპანია, რომელიც სტუდენტებისა და საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებას ემსახურება, სამომავლოდაც გაგრძელდება. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ნაკრძალების მწვანე საფარის შენარჩუნების მიზნით ეტაპობრივად სხვადასხვა ეკოლოგიურ პროექტს განახორციელებს.

2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსი ოკუპანტების მიერ ბორჯომის დაბომბვის შედეგად 950 ჰექტარი ტყის მასივი დაიწვა, ხოლო 2017 წლის ხანძრისას - 943 ჰექტარი.

„მრავალ ახალ წელს დილითა...“

ახალი წელი ყველაზე სასურველი, საყვარელი, უკეთესი მომავლის იმედით აღსავსე დღესასწაულია მსოფლიოს ყველა ხალხისათვის. წარმართული ეპოქიდან მომდინარე ეს დღესასწაული ქრისტიანული სარწმუნოების მქონე ქვეყნებში ქრისტიანულ კალანდაში გადაიზარდა და კიდევ უფრო მეტი ჰუმანურობითა და ფერადოვნებით შეივსო.

ძველ წელთან გამოთხოვება–გაცილებითა და ახალ წელთან მიგებებით ხალხი გამოხატავდა ოცნებას ბედნიერ მომავალზე, იმედსა და ყველა სფეროში საუკეთესოს მოლოდინს, რასაც მხიარული და გულღია საახალწლო რიტუალით განასახიერებდა, რათა ახდენოდა, დაბედებოდა ნანატრ–ნაოცნებარი. ამ რიტუალთა უმთავრესი, თვალსაჩინო ნაწილი იყო როგორც სიტყვიერი, ისე პროფილაქტიკური და პროდუქტიული მაგია.

გამთენიისას თოფის გასროლა და საახალწლო ჩიჩილაკი, რომელიც წმინდა ბასილის წვერებს განასახიერებდა, პროფილაქტიკურ მაგიას გამოხატავდა; სურსათ–სანოვაგითა და საახალწლო ხონჩით ხელდამშვენებული მეკვლის მოსვლა ოჯახში პროდუქტიულ მაგიას მოასწავებდა, ხოლო მეკვლის დასალოცი ტექსტები, მეკვლისა და მასპინძლის დიალოგი თუ საახალწლო სუფრაზე წარმოსათქმელი დალოცვა–სადღეგრძელები სიტყვიერი მაგიის დიდებული ნიმუშებია, რომლებსაც ბოლო დრომდე ერთგულობს ქართველობა.

საახალწლო მილოცვათა, დალოცვა–სადღეგრძელოთა ნიმუშები, რომლებმაც საუკუნეთა ტევრი გამოიარეს, ჩვენი ხალხის სულიერი კულტურისა და ზნეობრივი დონის ნიშაა, რომლის არდავიწყება და გაფრთხილებაც ეროვნული სიმყარის, ეთნიკური მეობის შენარჩუნების ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. ამიტომაც ამ ახალ წელს მინდა:

– დავლოცო ჩვენი სამშობლო, ვისურვო მისი გამთლიანება, აყვავება, გაძლიერება!

– უფალს ვთხოვ, თითოეულ ქართველში გააღვიძოს ფარნავაზისა და ცოტნე დადიანის, თამარ მეფისა და მაია წყნეთელის სულები და აგვანთოს ერთმანეთის სიყვარულითა და მამულის მსახურების წმიდათაწმიდა სურვილით!

– ვლოცავ ჩვენს ახალგაზრდობას, ხვალინდელ დღეს ჩვენი ქვეყნისას, და ვუსურვებ, არ დაიღალონ ქართველობით, დღემუდამ სიკეთესა და სიბრძნის გზაზე იარონ, დაეუფლონ ცოდნას, ადამიანობას, გულის კარს ნუ გაუღებენ, სამწუხაროდ, დღეს ესოდენ მომძლავრებულ მწიკლოვანებას!

– ახალ წელს ვულოცავ ჩვენს მშობლიურ უნივერსიტეტს, კოლეგებს, უსაყვარლეს სტუდენტებს და ვუსურვებ, ასრულებოდეთ ყველა ოცნება!

ბოლოს კი მაინც ჩვენი უღალატო სახალხო მეკვლის ტრადიციულ სიტყვებს მოვიხმობ:

ხელში ორ ჭიქას ავიღებ,
ვილოცებოდე ღვინითა:
ყველა კარგად დაესწარით
მრავალ ახალ წელს დილითა!
ხურჯინი სავსე გქონოდეთ
ჩურჩხელებით და ხილითა!
თქვენი კოდები ყოფილა
სავსენი წმინდა ფქვილითა!
თქვენი ქვევრები ყოფილა
სავსე წითელი ღვინითა!
თქვენი მტერი წაქცეულა.
ვეღარა ძღება ძილითა!

თინა შიოშვილი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

სტუდენტური ცხოვრება გარკვეულ ხარჯებთან ასოცირდება

საქართველოში უამრავ სტუდენტს უწევს განათლების მისაღებად საცხოვრებელი ადგილის შეცვლა. ისინი მშობლიური საცხოვრებლიდან მიგრირებენ ქალაქებში, სადაც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ფუნქციონირებს. უმეტესწილად ქირაობენ საცხოვრებელს და ვალდებულნი არიან გადაიხადონ როგორც ქირის თანხა, ასევე კომუნალური გადასახადები, მგზავრობის ღირებულება და რაღა თქმა უნდა, კვების თანხა. წლიური დაჯამებით ეს ხარჯები შესაძლებელია ძალიან დიდ თანხებსაც მიუახლოვდეს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კანცლერის, ჯემალ ანანიძის ინიციატივით გადაწყვიტა, რომ სტუდენტებს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ჯანსაღი სტუდენტური გარემოს შექმნასა და შენარჩუნებაში. ქ.ბათუმში ლეონიძის №15-ში შენდება ახალი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, რომელიც გათვლილია 190 სტუდენტზე. მშენებლობისთვის უკვე გამოყოფილია ორი მილიონ სამას ორმოცდაცხრამეტია თასი ლარი.

სანამ საერთო საცხოვრებლის მშენებლობა მიმდინარეობს, ვცადეთ გაგვერკვია დეტალური ინფორმაცია მისი ფუნქციონირების შესახებ. ჩვენს კითხვებს პასუხობს ინიციატივის ავტორი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი, ბატონი ჯემალ ანანიძე.

— ბატონო ჯემალ, რატომ წამოჭერით დღის წესრიგში ახალი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა?

— ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ძველი საერთო საცხოვრებლის შენობა, რომელიც მწვანე კონცხის დასახლებაში მდებარეობდა. ის უნივერსიტეტს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტმა შემოერთების შემდეგ გადასცა. ეს შენობა დაახლოებით 60 წლის წინაა აშენებული და სრულიად ვერ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს. 2 კილომეტრის რადიუსში არ ჰქონდა მარკეტი, აფთიაქი, ამორტიზირებული იყო ელექტრო გაყვანილობა, ფართი იყო მინიმალური, რაც გარკვეულ დისკომფორტს ქმნიდა. ჩვენ მოგვეცა შანსი აგვეშენებინა თანამედროვე მოთხოვნებზე მორგებული, კომფორტული საცხოვრებელი, გარდა ამისა მის მახლობლად ვაშენებთ სასწავლო კორპუსსა და კვლევითი ინსტიტუტის შენობას, რაც 30-40 წლის მანძილზე პირველი პრეცედენტია საქართველოში.

— რა პრინციპით დაპროექტდა საცხოვრებელი?

— პროექტი ითვალისწინებს ბლოკურ სისტემას. რომელიც გათვლილია 5 სტუდენტზე, აღჭურვილია სველი წერტილებით და სამზარეულოთი (მაცივარი, ელექტრო ღუმელები) მუდმივი ცხელი წყლით და ავეჯით. შენობის 4 სართულზე განთავსდება როგორც საქმიანი ნაწილი, ასევე დაცვის ოთახი, ადმინისტრაცია, სამრეცხაო-საშრობი და საკონფერენციო დარბაზი, ჭერში დამონტაჟდება ხანძარსანინააღმდეგო სისტემა, რომელიც რეაგირებს ტემპერატურაზე და აგრეთვე სამორიგეო განათების სისტემა.

— რამდენად ხელსაყრელია ახალი ადგილმდებარეობა უპრობლემო გადაადგილებისათვის?

— რაც შეეხება ადგილმდებარეობას, ამჟამად არსებულ საცხოვრებელში ეს საკითხი დიდ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან მუნიციპალური ტრანსპორტი გარკვეული გრაფიკით მოძრაობს მწვანე კონცხის დასახლებაში. უნივერსიტეტს უწევდა დაექირავებინა ავტობუსი და სტუდენტებს დღეში სამჯერ ემსახურებოდა. ლეონიძის დასახლება კი პერსპექტიული და განვითარებადი უბანია, სადაც ღამის პირველ საათამდე საქალაქო ტრანსპორტი უპრობლემოდ გადაადგილდება

— ახალი საერთო საცხოვრებლის შენობა იქნება თუ არა ადაპტირებული შშმ პირებისთვის?

— რა თქმა უნდა. კორპუსში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული 3 ბლოკი, რომელიც თითოეულ სართულზე განთავსდება. შენობის შესასვლელში არის პანდუსი, აგრეთვე განთავსდება ლიფტი, რომელიც მოემსახურება და დაეხმარება მათ გადაადგილებაში.

— ყოველთვიურად რამდენი ლარი ექნება გადასახდელი საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სტუდენტს?

— გადასახადთან დაკავშირებით ვადგენთ რეგულაციებს. უნივერსიტეტი არ მუშაობს მოგებაზე. ჩვენ გვინდა, რომ სტუდენტებს მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი. მობინადრეობის თვიური გადასახადი შეადგენს 100 ლარს, რომელშიც შედის კომუნალური გადასახადები და ინტერნეტ მომსახურება.

— ენიჭებათ თუ არა რაიმე სახის უპირატესობა სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე სტუდენტებს?

— სოციალურად დაუცველ სტუდენტებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, სტუდენტებს მრავალშვილიანი ოჯახებიდან და მაღალი აკადემიური მოსწრების ახალგაზრდებს, რა თქმა უნდა მიენიჭებათ უპირატესობა. ჩვენ ასევე ვგეგმავთ, რომ ფაკულტეტების მიხედვით დავაწესოთ ლიმიტები, რათა ყველა სტუდენტს მიეცეს საერთო საცხოვრებელში ცხოვრების შანსი.

— რამდენად და ვისგან იქნება დაცული უსაფრთხოების ზომები?

— უნივერსიტეტი ცდილობს მაქსიმალურად მშვიდ და უსაფრთხო გარემოში აცხოვროს სტუდენტები, ამიტომაც დაწესდება მორიგეობა. ორი ადამიანი დაიცავს მათ მყუდროებას. აგრეთვე იმუშავებს ბინადრობის შინაგანაწესი, რომელიც ითვალისწინებს იძულებით გასახლების პუნქტს, რაც ამოქმედდება იმ შემთხვევაში, თუკი პრობლემები შეიქმნება ალკოჰოლურ სასმელებთან, თამბაქოსთან თუ ხმაურთან მიმართებაში. დარეგულირებული იქნება ვიზიტორთა საათებიც. ღამის 12 საათიდან გარეშე პირებს აღარ ექნებათ შენობაში ყოფნის უფლება.

— რა დოკუმენტებია საჭირო, ბინადრობის უფლების მოსაპოვებლად?

— სტუდენტობის დამადასტურებელი საბუთი, პირადობის ქსეროასლი, სურათი... ვმუშაობთ საკითხზე, რომ ელექტრონულად დარეგისტრირებაც იყოს შესაძლებელი.

— ბატონო ჯემალ, როდის დასრულდება მშენებლობა?

— მშენებლობა თითქმის დასრულებულია. მიმდინარეობს მისი დალაგება-მოწესრიგება და ვეცდებით, უკვე იანვარში გვყავდეს პირველი მობინადრეები. მინდა თითოეულ სტუდენტს ვუსურვო წარმატებები. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის მზადაა შეძლებისდაგვარად დაგეხმაროთ ჯანსაღი სტუდენტური გარემოს შექმნაში.

ნათია ნანავა,
ქართული ფილოლოგიის
სპეციალობის სტუდენტი

ბსუ-ს ყველა სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელს და თანამშრომელს ვულოცავ ახალ 2019 წელს. დაე, მომავალმა წელმა კიდევ უფრო გაამდიდროს ჩვენი ცხოვრება ახალი

ცოდნით, მიღწევებით და გამარჯვებებით. ყოველთვის გვიხაროდეს უნივერსიტეტის წარმატება და მისი წინსვლისთვის ზრუნვა, ერთმანეთის თანადგომა და სიკეთის კეთება. ერთად ყოფნა დაგვილოცოს განგებამ!

პატივისცემით,
თამარ სირაძე, რექტორის
მოადგილე

ძვირფასო კოლეგებო, სტუდენტებო, მეგობრებო!

განვლილმა წელმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ბევრი წარმატებით მოიწონა თავი: ავტორიზაცია, პროგრამული აკრედიტაცია, განახლებული ინფრასტრუქტურა, გამარჯვებული პროექტები და კიდევ მრავალი სასიამოვნო სიახლე...

დამდეგ 2019 წელს გი-

ლოცავთ. ჯანმრთელობა, სიკეთე, სიხარული, სიმრავლე, სანუკვარი ოცნებების ახდენა დაგვბედებოდეს...

გაგვემდიდრებინოს ჩვენი დიდი ოჯახის - უნივერსიტეტის მატიანე, ახალი, შთამბეჭდავი გამარჯვებებით, ერთიანობის სულისკვეთებით და სიყვარულით.

ნათია წიკლაშვილი,
ეკონომიკის დოქტორი,
პროფესორი, რექტორის
მოადგილე

გულითადად გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. ყოველივე კარგის, ამაღლებულის, სიწმინდის, ხვავისა და ბარაქის მომტანი იყოს ეს წელი ყველასათვის. უფალმა დაგლოცოთ, გაგახაროთ, შეგეწიოთ. უფლის კალთა გადაფარებოდეს ჩვენს ერს და ჩვენ, ადამიანთ კი, მოგვცემოდეს სიბრძნე და სიმშვიდე, მადლი და წყალობა. სიყვარული, სათნოება, სიხარული, სიკეთე, სინატიფე დავანებულიყოს ადამიანთა გულებში. ძველ რომაელებს აქვთ გამოთქმა: „ დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად.“ უფლის ნებით, ჩვენი ერის, თითოეული ჩვენგანის ცვლილება სიკეთისა და ურთიერთთანადგომისკენ მიმართულიყოს. ფეხბედნიერი ყოფილიყოს დამდეგი წელი. და ბოლოს, მილოცვა ნ. დუმბაძის სიტყვებით მინდა დავასრულო:“ შემოქმედო ყოვლისა, შენ გაუთენე ჩემს ხალხს, ჩემს სამშობლოს ბედნიერი ახალი წელი. განკურნე ყოველგვარი სენისაგან, მიეცი ჯანი მრთელი, ღონე შენი, ნიჭი შენი და უკვდავება შენი. დააშთე თვალი ყოველი მოშურნე მისი. საუკუნოდ

დაგმანე ყური მსურველი და მსმენელი მისი სიავისა. გაახმე ხელი მისი სიცოცხლის ხის მოჭრის სურვილად. დალოცე აკვანი, კალთა და ძუძუ საქართველოსი. გაავსე სახლი ყოველი მშრომელისა მზითა და სითბოთი, ბეღელი პურით, მარანი ღვინით, ახორი-საქონლით, კერია- ფრინველით და გული სათნოებით. ააჟრიამულე ეზო- კარი ყოველი ქართველისა ბადიშებით, შვილთაშვილებითა და მათი შვილებით. დაუშრეტელ მდინარედ იდინე ბედნიერებავ ჩვენს ქვეყანაში, არ მოუშალო გონიერი კაცი და მწყემსი საქართველოს. ნატვრის თვალი დაუდე ამ ახალი წლის ღამით სასთუმალს ყველას, რათა დილით ადგეს, ნახოს და მამულის უკვდავება ინატროს! მიიღე მამულო ჩემგან ეს ლოცვა!“

დიახ, ყველას ასრულებოდეს ნატვრა, ოცნება, ჩანაფიქრი. ღვთისა და ყველა წმინდანის ლოცვის ძალა და მადლი ჰფარავდეს საქართველოსა და თითოეულ ჩვენგანს.

როინ მალაყმაძე,
ნიკო ბერძენიშვილის
ინსტიტუტის დირექტორი

ვულოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ სპეციალისტებს! ვუსურვებ წარმატებულ და გამორჩეულ, სიკეთით სავსე წელიწადს!

გასულ წელს ჩვენ ფაკულტეტზე ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან სიახლეს ჩაეყარა საფუძველი, მათ შორის აღსანიშნავია ტექნოლოგიური ფაკულტეტის ბაზაზე ინოვაციების ცენტრის გახსნა. "Erasmus+"-ის საგრანტო პროექტის - „InnoCENS Project" ფარგლებში

ჩამოყალიბებული ცენტრი აქტიურ მუშაობას ეწევა ინოვაციური კომპეტენციებისა და სამეწარმეო უნარების ამაღლებისათვის საინჟინრო განათლებაში. ჩვენი სტუდენტებისათვის მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის ინოვაციური სივრცის არსებობა, რაც მიზნად ისახავს საინჟინრო სწავლებაში თანამედროვე სამეწარმეო მიდგომების დანერგვას, ინოვაციური კომპეტენციების განვითარებას, სტარტაპებისა და სპინოფების ჩამოყალიბებას. ასევე. გასული წლის მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებული აკრედიტაცია. გაფორმდა მემორანდუმები მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან, რომელთა ფარგლებშიც ფაკულტეტის სტუდენტები იმყოფებოდნენ ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. გასულ წელს ინჟინერიის სფეროში დასაქმებული სტუდენტების მაჩვენებელი იყო მნიშვნელოვნად მაღალი, განსაკუთრებით იმ კომპანიებში, რომლებსაც აქვთ თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული ჩვენს უნივერსიტეტთან. ვიმედოვნებთ, რომ მომავალი 2019 წელი უფრო მეტად საინტერესო, სიახლეებით დატვირთული და საერთაშორისო აქტივობებით გამორჩეული წელი იქნება!

გიზო ფარცხალაძე,
პროფესორი,
ტექნოლოგიური
ფაკულტეტის დეკანი

თვითმმართველობის პერსპექტივები

სტუდენტური თვითმმართველობის დანიშნულებაა შუალედური რგოლის ფუნქცია შეასრულოს საუნივერსიტეტო ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის, რაც გულისხმობს სტუდენტთა კანონიერი უფლებების დაცვას, ადმინისტრაციული და სასწავლო პრობლემების მოგვარებას, კულტურულ, სპორტულ და სამეცნიერო ღონისძიების დაგეგმვასა და თავად სტუდენტების ჩართულობას უნივერსიტეტის მართვაში.

ბოლო წლის განმავლობაში სტუდენტური თვითმმართველობის მხარდაჭერითა და ორგანიზებით ჩატარდა სხვადასხვა ტიპის ღონისძიება, გაიმართა პირველკურსელთა მისასალმებელი ტრადიციული წვეულება "ჭელცომ არტყ". საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დაიგეგმა ექსკურსიები, რამაც სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები დაახლოვა. ყოველწლიურად იმართება ფუტსალის ჩემპიონატი და ზოგადად, სხვადასხვა სპორტული აქტივობებით იგრძნობა, რომ თვითმმართველობა განსაკუთრებულ მხარს უჭერს ჯანსაღი ცხოვრების წესს.

პერიოდულად ტარდებოდა ინტელექტუალური შეჯიბრებებიც, თუმცა სტუდენტთა აქტივობა ყოველთვის ერთნაირი არ ყოფილა.

მიმდინარე სასწავლო წელს თვითმმართველობა საკუთარი კაბინეტის გარეშეა დარჩენილი. მეთვრამეტე აუდიტორია, სადაც ტარდებოდა სხდომები, ამჟამად განკუთვნილია სასწავლო პროცესისთვის. უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა მერაბ ხალვაშმა პირობა დადო, რომ მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე გამოიძებნება შესაბამისი აუდიტორია. მანამდე კი სხდომებისთვის 55-ე აუდიტორიის გამოყენებაა შესაძლებელი.

მიმდინარე წლის 9 ნოემბერს გაიმართა სტუდენტური თვითმმართველობის საპრეზიდენტო არჩევნები. პრეზიდენტის გამოსავლენად ორი ტურის ჩატარება გახდა აუცილებელი. პირველ ტურში ამომრჩეველთა 69% იყო მისული. ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: შალვა ილარიშვილი (ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სტუდენტი) - 37; ირაკლი კოჩალიძე (ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტი) - 36.

მეორე ტური შედგა 16 ნოემბერს. ამჯერად ამომრჩეველთა 80 პროცენტი გამოცხადდა საკუთარი აზრის დასაფიქსირებლად. საბოლოოდ, გაიმარჯვა ირაკლი კოჩალიძემ 48 ხმით, მის ოპონენტს კი ისევ 37-მა სტუდენტმა დაუჭირა მხარი.

შედეგების მიუხედავად, შალვა ილარიშვილი თავს დამარცხებულად არ თვლის: „რეალურად ამ არჩევნებიდან მე დამარცხებული არ გამოვსულვარ. ჩემი გარკვეული მიზანი მიღწეული იყო, რადგან შეიკრიბა გარკვეული გუნდი, რომლითაც აქამდე მოვედი და რომლებთანაც ვაპირებ სამომავლო მიზნების განხორციელებას. ჩემთვის მთავარი არ ყოფილა გაპრეზიდენტება, მნიშვნელოვანი იყო - მსგავსი გუნდი შეკრულიყო. ჩვენ ახალ ეტაპზე გადავდივართ; ჩემი დაპირებისამებრ, ბოლომდე სტუდენტების გვერდით ვიქნები. ჩვენს სამომავლო აქტივობებში მაქსიმალურად ჩაერთვებიან სტუდენტები, ხოლო თვითმმართველობასთან თანამშრომლობა სავალდებულო არ იქნება. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი მინუსი, რაც დღევანდელ სტუდენტურ თვითმმართველობაზე შეიძლება ითქვას ისაა, რომ მათ დაკარგეს სტუდენტების ნდობა. მათ არ გააჩნიათ ერთიანობა. სამწუხაროდ, უკანასკნელმა წელიწადმა ისე ჩაიარა, რომ ყველა წევრი ერთმანეთს არც კი იცნობს."

სამომავლო მიზნებისა და პროექტების შესახებ ჩვენ ვესაუბრეთ სტუდენტური თვითმმართველობის ახლადარჩეულ პრეზიდენტ ირაკლი კოჩალიძეს:

„პირველ რიგში, მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა იმას, რომ მიმდინარე არჩევნების პოლიტიკურ ჭრილში განხილვა არასწორია. ცხადია, ბევრი მეგობარი მმართველ გუნდშიც მყავს, მაგრამ ნაწილი სხვა პარტიებშიც არიან განევრიანებული.

ცხადია, ჩვენი გეგმების განხორციელებისთვის უმნიშვნელოვანესია კომუნიკაცია. სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას წავაწყდი ელემენტარულ პრობლემებს, რომელთა მოგვარებაც თვითმმართველობის შუალედური რგოლის ფუნქციის შესრულებითაა შესაძლებელი სტუდენტებსა და ადმინისტრაციას შორის. მაგალითად, შარშან ძალიან ბევრმა სტუდენტმა სურვილის მიუხედავად ვერ მიიღო ინფორმაცია გაცვლით პროგრამების შესახებ. კონკრეტულად დაგეგმილი მაქვს, რომ შვიდ ფაკულტეტზე ღია ლექციების ციკლი მოეწყოს, სადაც დარგში წარმატებულ პიროვნებებს მოვიწვევთ. მოგეხსენებათ, უნივერსიტეტში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული ახალგაზრდები იღებენ განათლებას. მინდა, რომ კულინარიული შეჯიბრებები ან გამოფენები ჩატარდეს, სადაც ისინი ერთმანეთის კულტურას გაეცნობიან.

აქტიურად ვმუშაობთ მემორანდუმების გაფორმებაზე სხვადასხვა ცნობილ კომპანიასთან, რის შედეგადაც მხოლოდ ჩვენი სტუდენტებისთვის გაკეთდება შეღავათები წიგნების, სამოსის ან სხვა ტიპის პროდუქციის შეძენისას.

მსურს, მივიწყებული ღონისძიებები აღვადგინო, მაგალითად - როგორიც იყო „კინო-კლუბი." ცხადია, არაფერს ვამბობთ პოეზიის საღამოების ორგანიზებაზე, მათ გარეშე სტუდენტური ცხოვრება ხომ ნამდვილად წარმოუდგენელია.

ამ ეტაპზე სტუდენტების ყურადღება შუალედურ გამოცდებზეა გადატანილი. გამოცდების დასრულებისთანავე ჩვენ დავიწყებთ პროექტების განხორციელებას."

დაჩი მეჯიდოვი,
ქართული ფილოლოგიის მე-4
კურსის სტუდენტი

მიხარია, რომ ჩვენს უნივერსიტეტს, განათლების გამოცდილ და საიმედო კერას ბათუმში, გასული წლის სასიკეთო საქმეც მრავალი დაეთვლება და 2019 წლის გადასახედიც იმედიან განწყობას ქმნის.

უნივერსიტეტს და მის თანამდგომთ, უნივერსიტეტელებს - ყველა სტუდენტს, პროფესორ-მასწავლებელს, რიგით თუ ჩინიან თანამშრომელს - ვულოცავ დამდეგ შობას და ახალ წელიწადს. ვუსურვებ სიკეთის სიმრავლეს, ახალ და ახალ წარმატებებს ქვეყნის და უნივერსიტეტის სადიდებლად...

მალხაზ ჩოხარაძე, პროფესორი

ოდითგან ახალი წლის მოახლოება ძველის შეჯამებისა და გაანალიზების, ახალი გეგმებისა და იმედების დაბადების, სურვილების ჩაფიქრების დრო იყო.

ჩემო უნივერსიტეტელებო, უდიდესი სიყვარულით მოგილოცავთ დამდეგ 2019 წელს. დაე, ახალი გამოწვევების, მიღწევების, წარმატებებისა და ბედნიერების წელი ყოფილიყოს ყოველი თქვენგანისთვის. სიმშვიდე, სიყვარული, თანადგომა, ხვავი და ბარაქა სუფევდეს ყოველი თქვენგანის ირგვლივ.

ლელა თურმანიძე,
ზუსტ მეცნიერებათა და განათლების
ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის
შემსრულებელი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული ცხოვრება

სპორტი რომ ჯანსაღი ცხოვრების საწინდარია, ყველა თანხმდება. ის ხელს უწყობს ისეთი იმუნიტეტის გამომუშავებას, რომელიც პიროვნული სრულყოფისთვის აუცილებელია. ეს ყოველივე მეცნიერულად დამტკიცებული და უდავოა. ამიტომაც, ადრიდანვე უნდა ვეცადოთ, დავკავდეთ სპორტის რომელიმე სახეობით, პროფესიული კუთხით თუ არა, ჰობის სახით მაინც მივუდგეთ და გარკვეული დრო დავუთმოთ მას. მკვლევართა მონაცემებით, სპორტით დაკავებული ადამიანი მუდამ ტონუსშია, გარეგნულად მიმზიდველ სხეულს ინარჩუნებს და სხვა მნიშვნელოვან ფასეულობებსაც სძენს. მაგალითად, კონკურენციას ეჩვევა, მარცხი უფრო დიდ მოტივაციას სძენს მეტი შრომით მიაღწიოს წარმატებას. ცხოვრების მიერ დადგენილი წესებიც ხომ სხვა არაფერია, თუ არა კონკურენციაში არსებობის წყურვილი. ამრიგად, ყველა უნდა დავინტერესდეთ ჯანსაღი ცხოვრებით ანუ სპორტით. ყველაფერი სკოლიდან იწყება, მაგრამ უნივერსიტეტებიც გარკვეულ დროს უნდა უთმობდნენ ამ სფეროს.

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს ყველანაირად განავითაროს სტუდენტის შესაძლებლობები და შემეცნების ეტაპი უფრო სახალისო და მიმზიდველი გახადოს, ამის ხელშესაწყობად უნივერსიტეტის ეზოში არის საფეხბურთო მოედანი, კალათბურთის ფარები, ტენისის მაგიდა თავისი ჩოგნებითა და სხვა საშუალება სწავლის შემდეგ განტვირთვისთვის.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბსუ-ში კვირაში სამჯერ ტარდება ფარიკაობის გაკვეთილები. სპორტი, რომელიც ოდითგანვე დიდი პოპულარობით სარგებლობდა რაინდთა წრეში, ხელმისაწვდომი გახდა ბსუ-ს სტუდენტებისთვის. კლუბის გახსნის ისტორია ძალიან საინტერესოა, რადგან იდეის ავტორები ტურიზმის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, პაატა ჩაგანავა და მისი კოლეგა ზაზა ბერიძე არიან. ისინი მანამდეც დაინტერესებულნი იყვნენ ფარიკაობით და გადაწყვიტეს სტუდენტებისთვისაც გაეცნოთ სპორტის ეს სახეობა. უკვე 2016 წლის თებერვლიდან ბსუ-ში ფუნქციონირებას იწყებს ფარიკაობის კლუბი. მოგეხსენებათ, დასაწყისი იწვევს ეჭვს, რადგან ალბათობა საქმის კარგად წარმართვისა 50%-ია, მაგრამ იდეამ გაამართლა და დღემდე აქტიურად ტარდება ვარჯიშები სტუდენტთა დაინტერესების საფუძველზე, არც ინვენტარის ნაკლებობას განიცდის გუნდი. არის პერსპექტივა, რომ ფართო ასპარეზზეც გავიდნენ სტუდენტები და ვინ იცის, იქნებ ოლიმპიადის გამარჯვებულის ტიტულიც ხვდეს წილად ბსუ-ს სპორტსმენებს ფარიკაობაში. ყოველი ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი 7-დან 10 საათამდე ბსუ-ში ფარიკაობის დროა.

ფარიკაობის ერთ-ერთი აქტიური წევრია ელისო ჯორბენაძე, ეკონომიკისა და ბიზნესის კურსდამთავრებული. როგორც ის გვიამბობს, 2 წლის წინ მან განცხადებები ნახა გამოკრული, რომ იხსნებოდა ფარიკაობის წრე, დაინტერესებულ პირებს შეეძლოთ კლუბის წევრები გამხდარიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ წელს ბაკალავრის ხარისხი მიიღო, ელისო კვლავ ახერხებს სპორტს გარკვეული დრო დაუთმოს. მისი თქმით, მსგავსი აქტივობები აუცილებელია სტუდენტებისთვის, ამ გზით მან უამრავი მეგობარი შეიძინა.

ფრენბურთი

ბსუ წარმატებებს აღწევს ფრენბურთის შეჯიბრებებშიც. ეკონომიკისა და ბიზნესის სპეციალობის სტუდენტი ელიზაბედ ფალავანდიშვილი ფრენბურთის წარმატებული და აქტიური წარმომადგენელია. როგორც ის გვიამბობს, უკვე 9 წელია დაინტერესებულია ამ სახეობით. 2016 წელს, როდესაც სტუდენტი გახდა, იმავე წელს მიიღო შემოთავაზება რომ სტუდენტურ გუნდში ეთამაშა. ის რასაკვირველია დათანხმდა და გუნდი „უნივერსიადა“ 2016 წელს ჩემპიონი გახდა. გუნდს საკმაო მიღწევები აქვს: 2016-2017 წლებში ორგზის ჩემპიონი გახდნენ ქვიშის ფრენბურთში (წყვილი-ელიზაბეტ ფალავანდიშვილი და ნანა წოწონავა). სამწუხაროდ 2018 წელს მონაწილეობა ვერ მოახერხეს, თორემ ეჭვი არ გვეპარება მათ შესაძლებლობებში. ისინი ორჯერ იმყოფებოდნენ თურქეთში საქართველოსა და ბსუ-ს სახელით თოვლის ფრენბურთში, საკმაოდ მაღალი რეიტინგით დაბრუნდნენ ბათუმში, მე-5 ადგილი დაიკავეს. ასევე, აჭარის უნივერსიტეტებს შორის ორგზის ჩემპიონები არიან გოგონები კლასიკურ ფრენბურთში და საერთოდაც - ელიზაბედი საქართველოს ნაკრების წევრია. ახლო მომავალში დაგეგმილია უნივერსიადა კლასიკურ ფრენბურთში. ელიზაბედს დიდი წარმატება ვუსურვოთ თავის საყვარელ საქმიანობასა და კარიერულ წინსვლაში.

ფუტსალის გუნდი

2012 წლიდან სპორტის ფედერაციამ დაიწყო ბსუ-ში ფუტსალის საუნივერსიტეტო ლიგის ჩემპიონატი. საუნივერსიტეტო ფუტსალის ლიგა 2 ნაწილისგან შედგება, ესენია: უმაღლესი და ბ კლასის ლიგა. საქართველოს უნივერსიტეტები გაყოფილია შესაბამისად 2 ნაწილად. 28 უნივერსიტეტი იღებს მონაწილეობას ფუტსალის ტურნირებში და ბსუ 12 უმაღლესი ლიგის შემადგენლობაში შედის, ხოლო 16 სხვა უნივერსიტეტი ბ კლასში.

ბსუ-ს ჯილდოები შექმნიდან დღემდე ასე გამოიყურება:

დასავლეთ ლიგა 2012-2013 - მე-2 ადგილი;

აჭარის სტუდენტური დღეები (საუნივერსიტეტო ფუტსალის ტურნირი) 2013 - ჩემპიონი;

დასავლეთ ლიგა 2013-2014 – 1-ლი ადგილი;

საქართველოს საუნივერსიტეტო თასი 2014 ქვიშის ფეხბურთში - ჩემპიონი;

აჭარის თასი 2014 - მე-2 ადგილი;

საქართველოს თასი 2015, აჭარის რეგიონი - მე-2 ადგილი;

აჭარის ღია ჩემპიონატი ფუტზალში 2014 - ჩემპიონი;

საქართველოს თასი 2015 - ფინალური ეტაპი;

სტუდენტური დღეები “აჭარა“ 2015 - ჩემპიონი;

საქართველოს საუნივერსიტეტო თასი ფუტსალში 2015 - ნახევარფინალი;

სტუდენტური დღეები “აჭარა“ 2016 - ჩემპიონი;

საქართველოს საუნივერსიტეტო ფუტსალის ლიგა 2016 - ნახევარფინალი;

საქართველოს საუნივერსიტეტოს საპლაჟო თასი 2016 - ჩემპიონი.

ბსუ-ს სტუდენტი ნიკოლოზ თავბერიძე 2016 წლიდან ფუტსალის წევრია. დღეს ის საუნივერსიტეტო გუნდის უმაღლეს ლიგის მეკარეა. ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ფეხბურთით და სტუდენტის სტატუსის მიღებისთანავე შეუდგა ინფორმაციის შეგროვებას უნივერსიტეტის გუნდის შესახებ. საკმაოდ წარმატებულად გადალახა შერჩევის ეტაპი და უმაღლეს ლიგაშიც მოხვდა. დღესდღეობით მისთვის გუნდი უპირველესია.

დღეისათვის, დარბაზის უქონლობის გამო, სპორტსმენები ხელვაჩაურში ვარჯიშობენ.

ბსუ-ს კალათბურთი

საინტერესოა 2015 წელს ბსუ-ში შექმნილი კალათბურთის გუნდის ისტორია. როგორც სტუდენტი, მირიან გაბელია გვიამბობს, აქამდე უნივერსიტეტს გუნდი არ ჰყავდა. სამმა კალათბურთით დაინტერესებულმა სტუდენტმა შეკრიბა გუნდი, მათივე ინიციატივით ათამდე სტუდენტმა დაიწყო ვარჯიში მწვრთნელის გარეშე. მალე ბიჭებმა მწვრთნელი მოძებნეს, საკმაოდ გამოცდილი ალიკ აბგარიანი და სწორედ ამ პერიოდიდან ოფიციალურად შეიქმნა ბსუ-ს კალათბურთის გუნდი. რა თქმა უნდა, სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ სხვადასხვა ტურნირში. მირიანი აღნიშნავს, რომ პირველი წელი ძალიან გაუჭირდათ. ბიჭების მხრიდან მონდომება დიდი იყო, თუმცა „პიონერობა'' თავისას შვრება. 14 თამაშიდან 4 მოგება არც ისე სახარბიელოა, მაგრამ 2 წლის შემდეგ გუნდი სრულიად დახვეწილი წარსდგა ტურნირზე. მოიგეს აჭარის სტუდენტური დღეების ტური. ხოლო საქართველოს საუნივერსიტეტო ჩემპიონატი დაასრულეს დადებითი ბალანსით. სამომავლოდ იგეგმება ისევ საუნივერსიტეტო ჩემპიონატი და უკვე გამარჯვებული გუნდი გადავა „ა“ ლიგაში.

დარბაზის უქონლობის გამო, ვარჯიშები ჯერ-ჯერობით შეჩერებულია, თუმცა გუნდი ინარჩუნებს ერთიანობას და იმედოვნებს სამომავლო წარმატებებს.

თიკო კვაჭაძე, ქართული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტი

ჩემო კოლეგებო, სტუდენტებო, თანაუნივერსიტეტელებო, თანამოქალაქეებო, მოკეთეებო, სრულიად საქართველოვ! გილოცავთ დამდეგ შობა - ახალ 2019 წელს. გისურვებთ ეს წელი თქვენი იმედების გამართლების, სურვილების ასრულების, ახალი იდეების, სამშობლოს კეთილდღეობის, მშვიდობისა და სიკეთის წელი ყოფილიყოს. ხვავი, ბარაქა, სიხარული, სიყვარული, ჯანმრთელობა და ბედნიერებით დატვირთული წელი ყოფილიყოს თითოეული თქვენგანის, მთლიანი საქართველოს და სრულიად სამყაროსათვის.

ვლადიმერ ღლონტი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

გილოცავთ, ახალი 2019 წელი მშვიდობისა და სიყვარულის წელი ყოფილიყოს. სურვილები აგსრულებოდეთ, იმედები გაგმართლებოდეთ, დასახული მიზნებისთვის მიგეღწიოთ! წარმატებებს გისურვებთ პირად და საზოგადოებრივ საქმიანობაში!

მრავალ ახალ წელს, ძვირფასო მეგობრებო!

თამილა თურმანიძე, ასისტენტ პროფესორი

სამეცნიერო

გასული 2018 წელი უნივერსიტეტის სამეცნიერო ცხოვრებაში ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა. ბსუ-მ წელს გაიარა უმნიშვნელოვანესი პროცესი ავტორიზაციის სახით. მეცნიერებასთან მიმართებაში განხილული იყო ისეთი მნიშვნელოვანი პუნქტები, როგორიცაა: კვლევა, განვითარება და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა; კვლევითი საქმიანობა, კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია.

ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს" რექტორის მოადგილე, პროფესორი, ნათია წიკლაშვილი ესაუბრება.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი აღიარებული უმაღლესი სასწავლებელია, რომელსაც მაღალკვალიფიციური პერსონალი ჰყავს დიდი სამეცნიერო პოტენციალით. გასულ წელს ჩვენი პროფესორების და მეცნიერების მიერ გამოცემული იქნა ათობით სახელმძღვანელო, დამხმარე-მეთოდური მასალა თუ მონოგრაფია. სამეცნიერო კვლევითი მუშაობის პროდუქტიულობის ერთ-ერთი მაჩვენებელი, მიღებული გრანტებია.

ჩვენი თანამშრომლების მიერ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარდგენილი საგრანტო პროექტებიდან წელს 2 პროექტი დაფინანსდა: „ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტების კატალოგი". პროექტის ხელმძღვანელი ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი ირინა ვარშალომიძე. პროექტი მიზნად ისახავს ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმის ნუმიზმატიკური კოლექციის შესწავლას. პროექტის განხორციელების შედეგად გამოიცემა ქართულ-ინგლისურენოვანი კატალოგი - ,,ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმში დაცული მონეტები". აღნიშნულ მუზეუმში დაცული მონეტების

გაილია 2018 წელი თავისი სიძნელეებითა და წარმატებებით, ყოველდღიური ზრუნვით, შრომითა და შრომის შესაბამისი შედეგებით. კარს ახალი, 2019 წელი მოგვადგა, ახალი იდეებით, იმედებითა და გეგმებით. ბევრი საზრუნავი დაგვიტოვა გასულმა წელმა, ახალში რომ უნდა მოვაგვაროთ, დაწყებული საქმე გავაგრძელოთ და სასურველ დასასრულამდე მივიყვანოთ. ახალი წლის მობრძანებას ახალი სურვილები მოაქვს ხოლმე. რას ვისურვებდი ახალ წელს? ვეკითხები საკუთარ თავს. ვოცნებობ: მყარ საფუძველს ქვეყნის გამთლიანებისა და გაძლიერებისათვის, ქართული ოჯახისათვის - ეკონომიკურ სიძლიერეს, ხვავსა და გამრავლებას... ვუსურვებ ჩვენს უნივერსიტეტს ახალ წარმატებებს, უნივერსიტეტელებს - სტუდენტს, პროფესორს, უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა თანამშრომელს წარმატებებს თავის საქმიანობაში.

გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას...

მამია ფალავა, პროფესორი

უნიკალური კოლექცია უცნობია ქართველი ნუმიზმატებისათვის და საერთოდ, ნუმიზმატიკით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

მეორე პროექტი - კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI საუკუნეებში (ისტორია, კულტურა, თანამედროვეობა) - პროექტის ხელმძღვანელი კახაბერ სურგულაძე. პროექტი ითვალისწინებს კათოლიკურ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობების ისტორიის კვლევას ისტორიულ და კულტურის მეხსიერების ჭრილში. ევროპული თანამეგობრობისკენ საქართველოს სწრაფვა დღის წესრიგში აყენებს კათოლიკურ სამყაროსთან ურთიერთობების ისტორიის ახლებურ გააზრებას, მის გათავისუფლებას საბჭოური მითებისგან და რეალური სურათის სახით საზოგადოებისთვის მიწოდებას. საკვლევი თემა განმაზოგადებელი ნაშრომის, ინოვაციების და ისტორიოგრაფიული ხარვეზების შევსების პრინციპზეა აგებული.

— უნივერსიტეტში 2016 წლიდან მოქმედებს „უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსი ...

— გამარჯვებული და დაფინანსებული პროექტების ტენდენცია მზარდია. 2016 წელს დაფინანსდა 2 პროექტი, 2017 წელს-3, ხოლო მიმდინარე წელს შიდა გრანტის 10 ბენეფიციარი გამოვლინდა შემდეგ დარგებში: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ინჟინერიის, ტექნოლოგიებისა და აგრარული, სოციალური მეცნიერებები, ეკონომიკისა და ბიზნესის, ინტერდისციპლინარული კვლევების მიმართულება. ამათგან 2 ახალგაზრდა მკვლევარების გრანტია. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი მუშაობდა ისეთ მნიშვნელოვან თემებზე როგორიცაა: „აჭარის მოსახლეობის მოკვდავობის ცხრილის აგება: ისტორიული მონაცემების სტატისტიკური შეფასება და მომავლის პროგნოზირება", „გოდერძის უღელტეხილის ისტორია და ეთნოარქეოლოგია", „ზოგიერთი საკითხი ატმოსფეროს დიაგნოსტიკის შესახებ სიგნალისა და გარემოს დისპერსიულ მახასიათებლებს შორის კავშირის საფუძველზე" და სხვა.

თანამშრომელთა სამეცნიერო მუშაობის მოტივაციის ზრდისთვის ბსუ-ში მიღებულია და 2017 წლიდან მოქმედებს წესი „აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კონფერენციაზე, სემინარზე, კონგრესზე, ფორუმზე და სხვა მსგავს ღონისძიებაზე მონაწილეობის დაფინანსების შესახებ" და მიმდინარე წელსაც ათეულობით პროფესორმა და მეცნიერმა უნივერსიტეტის დაფინანსებით მიიღო მონაწილეობა მნიშვნელოვან საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში. შესაბამისად იზრდება მაღალრეიტინგულ გამოცემებში ჩვენი თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა.

— სხვა მნიშვნელოვან მიღწევებზე რას გვეტყოდით?

— უმნიშვნელოვანეს მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მონაწილეობით ინსტიტუციური თანამშრომლობის (rasmus+Capacity Building in Higher Education (CBHE) პროექტის გამარჯვება. TEMPUS -ის პროგრამის საგრანტო კონკურსის შედეგების მიხედვით გამარჯვება მოიპოვა პროექტმა: „საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კვლევის შესაძლებლობების გაზრდა სამეცნიერო-კვლევითი სამსახურების მეშვეობით" პროექტი „საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კვლევის შესაძლებლობების გაზრდა სამეცნიერო-კვლევითი სამსახურების მეშვეობით" მიზნად ისახავს ქვეყნის მასშტაბით არსებული კვლევითი შესაძლებლობების გაუმჯობესებას საქართველოს უნივერსიტეტებში კვლევითი სამსახურების განვითარების მეშვეობით. კონსორციუმი შედგება შემდეგი 18 წევრისგან: 11 საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდი (SRNSFG), საქართველოს ინოვაციისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA), განათლების ხარისხის განვითარების ცენტრი (EQE), დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტი, კლერმონ ოვერნის უნივერსიტეტი, ნიცის სოფია ანტიპოლისის უნივერსიტეტი.

აქტიურად მუშაობდა სამეცნიერო კვლევების სამსახური. მიმდინარე წელს შეიქმნა საინფორმაციო პრეზენტაციები შედეგი მიმართულებით: c ინდექსი, h ინდექსი, i10 ინდექსი, საინფორმაციო პრეზენტაცია მტაცებელი ჟურნალებისა და მაღალრეიტინგულ ჟურნალთა ელექტრონული ბაზების შესახებ. მტაცებელი ჟურნალები წარმოადგენს ღია წვდომის ფასიან, პერიოდულ გამოცემებს, რომლებიც თითქოს არიან სამეცნიერო ჟურნალები, სინამდვილეში კი წარმოადგენენ უდიდეს სატყუარას მეცნიერთათვის. მათი მთავარი მიზანია მოგების მიღებაა და არ ემსახურებიან მეცნიერების განვითარებას. ამავდროულად შეიქმნა მცირე გაიდლაინები თუ როგორ უნდა დარეგისტრირდეს მეცნიერი google scholar-ში, scopus-ში, web of science-ში და სხვა.

„ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესისა" და „ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის" მიხედვით აუცილებელია სამეცნიერო და აკადემიურმა პერსონალმა ჩაატაროს სემინარები, ამ მიზნით უნივერსიტეტის ვებ. გვერდზე სამსახურმა ლინკი- „სემინარები" (https://bsu.edu.ge/sub-56/news/index.html), სადაც აიტვირთა წლის განმავლობაში ჩასატარებელი სემინარების განრიგი, ხოლო სიახლეების გრაფაში 10 დღით ადრე იტვირთება მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი აბსტრაქტი და პრეზენტაცია.

შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდთან თანამშრომლობით შეიქმნა ბაზა, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტში შემავალი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, ფაკულტეტების, მათში შემავალი დეპარტამენტებისა და სტრუქტურული ერთეულების, უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, ახალგაზრდა მეცნიერთა, უნივერსიტეტში დასაქმებული დოქტორანტებისა და მაგისტრანტების რაოდენობის და მიმდინარე კვლევითი პროექტების და მათი ჯამური ბიუჯეტის, ინსტიტუციის ფარგლებში, სამეცნიერო კვლევითი ერთეულის/კვლევითი ჯგუფის არა აკადემიურ სექტორთან (ინდუსტრია, ბიზნესი, საჯარო, არასამთავრობო) არსებული თანამშრომლობის, ინსტიტუციის ფარგლებში, სამეცნიერო კვლევითი ერთეულის/კვლევითი ჯგუფის საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან/უნი-

თითოეულ სტუდენტს, ლექტორ-მასწავლებელს, პროფესორს, მეცნიერს, მკვლევარს, ბსუ-ს ყველა თანამშრომელს გულწრფელად გილოცავთ დამდეგ 2019 წელს.

თქვენი თავდაუზოგავი შრომის, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებით, გამოწვევებთან გამკლავებით მნიშვნელოვანი წვლილი შეგაქვთ უნივერსიტეტის წინსვლაში და მყარ საფუძველს ქმნით უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად.

გისურვებთ 2019 წელი კიდევ უფრო მეტი წარმატების, მიღწევების, ახალი გამოწვევების, იდეების ხორცშესხმისა და მიზნების განხორციელების წელი ყოფილიყოს!

ეუეუნა გუმბარიძე , ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველოფის სამსახურის უფროსის მ/შ. ასოცირებული პროფესორი

ყოველი ახალი წელი წინსვლის მოლოდინია, უკეთესობისკენ სწრაფვისა და სასურველ მიზნამდე მისვლის მოლოდინია,რომელიც თითოეული სტუდენტ-მოზარდის ფიქრებშია. სწორედ, ამ მიზნების უმაღლეს მწვერვალამდე მიყვანას გისურვებთ სტუდენტებო! დაე, ეს წელიწადი ცხოვრების ის ხე ყოფილიყოს,სადაც თქვენ მიერ დაგროვილ ცოდნას ააყვავებთ, რათა საბოლოოდ შეძლოთ მოსავლის აღება.

თათია ნაყოფია, დაწყებითი განათლების სპეციალობის სტუდენტი

მიღწევები

ვერსიტეტებთან არსებული თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციას.

იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი ყოველწლიურად მიმართავს წევრ სახელმწიფოებს იუნესკოს კითხვარის "Research and Experimental Development Survey" შევსების თაობაზე. აღნიშნული კითხვარის მიზანია უახლესი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შესახებ. ამ დღეებში გაიგზავნა შევსებული კითხვარები, რაც ზრდის ჩვენი უნივერსიტეტის ცნობადობას.

ასევე სამეცნიერო კვლევების პოპულარიზაციის მიზნით ბსუ-ს ვებგვერდზე შეიქმნა ბლოგი: „ ბსუ მეცნიერება", სადაც აისახება უნივერსიტეტის უახლესი სამეცნიერო მიღწევები.

— ბსუ-ში ჩატარებულ კონფერენციებთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?

— მოგეხსენებათ, ჩვენი უნივერსიტეტი საერთაშორისო თუ რესპუბლიკური კონფერენციების გამართვის სასურველ ცენტრად იქცა. გასულ წელს ჩვენთან არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო და პრაქტიკული ღონისძიება გაიმართა.

უკვე მესამედ, სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - III", ასევე ჩატარდა მეექვსე ყოველწლიური საერთაშორისო საზაფხულო სკოლა - ევროკავშირის სამართალი და ევროინტეგრაცია სამხრეთ კავკასიაში (EULEISC). საზაფხულო სკოლას ორგანიზებას უწევდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის კიევის სამართლის უნივერსიტეტთან ერთად. საზაფხულო სკოლის თანადამფინანსებელია გაერთიანება: ევროპისმცოდნეობის განვითარება სამხრეთ კავკასიაში. Developing European Studies in Caucasus (DESCnet). საზაფხულო სკოლამ უმასპინძლა 25 სტუდენტს სხვადასხვა ევროპული და კავკასიის რეგიონის ქვეყნებიდან, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ევროკავშირის როლს და სამართლებრივ პრობლემებს აღმოსავლეთ სამეზობლო პოლიტიკაში.

მიმდინარე წელს, ბსუმ, უკვე მეორედ, წარმატებით უმასპინძლა სამეცნიერო პიკნიკს, სადაც ჩვენთან ერთად მონაწილეობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, აი თი აკადემია სტეპი, ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველო, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

მიმდინარე წლის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მიღწევად მიგვაჩნია სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განახლება. ბოლო ათწლეულის განმავლობაში უპრეცედენტო შემთხვევაა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტისთვის შენობის აგება- ამ დღეებში დასრულდება ქობულეთში, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ახალი შენობა, პროექტისათვის 1 მილიონ 600 ათასი ლარი დაიხარჯა, აქედან 810 700 ლარი ადგილობრივი მთავრობის ბიუჯეტიდან ფინანსდება.

ბსუ-ში განახლდა და მოწესრიგდა ლაბორატორიები. გაუმჯობესდა სწავლების და კვლევის პირობები, სამეცნიერო პერსონალი აქტიურად ჩაერთო სასწავლო პროცესში.

რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი. დარწმუნებული ვართ, რომ მომავალ წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კიდევ უფრო შთამბეჭდავი და მასშტაბური სამეცნიერო მიღწევებით მოიწონებს თავს.

სტუდენტის შთაბეჭდილებები

"ერასმუს +"-ის გაცვლითი პროგრამით სასწავლებლად 2018-2019 წლის შემოდგომის სემესტრში წავედი. პროექტში მონაწილეობისათვის ჯერ გავიარე ტესტირება ინგლისურ ენაში, ხოლო შემდეგ მქონდა გასაუბრება ბსუ-ს წარმომადგენლებთან.

ვსწავლობდი ესპანეთში, ვალენსიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში კომპიუტერულ ინჟინერიას. ესპანეთში წასვლამდე უკვე არჩეული მქონდა ის საგნები, რომლებიც უნდა მესწავლა, თუმცა ვიზის დაგვიანების გამო, ორი კვირით გვიან მომიწია ჩასვლა. აქედან გამომდინარე, იქ ჩასული იძულებული გავხდი, რომ რამდენიმე საგანი შემეცვალა. დავდიოდი ესპანური ენის შემსწავლელ კურსებზეც.

უნივერსიტეტი, სადაც ვსწავლობდი (და სხვა უამრავი უნივერსიტეტიც რა იქ ვნახე), სრულიად განსხვავდება საქართველოში არსებული უნივერსიტეტებისაგან. ვალენსიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტი წარმოადგენდა ერთ პატარა ქალაქს, სადაც გარემო ისე იყო მოწყობილი, თითქოს სახლში იმყოფებოდი. პირველ რიგში, სასწავლებელს უჭირავს ძალიან დიდი ტერიტორია. თუ ბინიდან უნივერსიტეტის პირველ კორპუსამდე ფეხით მისვლას 10-15 წუთს ვანდომებდი, პირველი კორპუსიდან ჩემს კორპუსამდე მისვლისათვის 15-20 წუთიც კი მჭირდებოდა. ყოველ ფაკულტეტს მისთვის გამოყოფილი კორპუსები აქვთ შესაბამისი აღჭურვილობით, ლაბორატორიებით. კორპუსები ორ პარალელურ რიგზეა განლაგებული, მათ შორის კი პარკი მდებარეობს. გამოყოფილია პარკინგის ადგილები, ცალკე ავტომობილებისათვის, ცალკე მოტოციკლეტებისა და ველოსიპედებისათვის. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არის ვალენბისის (ფასიანი ველოსიპედების) რამდენიმე გაჩერების ადგილი. ასევე უნივერსიტეტი აერთიანებს ორ სასწავლო ტერიტორიას ქალაქგარეთ. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე იყო ორი ბანკის ფილიალი, ბანკომატები, საპარიკმახერო და მაღაზიები.

ერთი მთლიანი კორპუსი იყო განკუთვნილი მხოლოდ სტუდენტებისათვის, სადაც იყო კაფე, დასასვენებელი ოთახი ბილიარდით, მაგიდის ფეხბურთით და მდივნებით, ასევე ირგვლივ ტერასა. სტუდენტებს შეეძლოთ მშვიდ, მყუდრო გარემოში ესწავლათ ან დაესვენათ. უნივერსიტეტს ასევე გააჩნია საერთო საცხოვრებელი, ჩოგბურთის მოედანი, ფეხბურთის მოედანი, აუზი და სპორტული კომპლექსი. მათი სარგებლობა ფასიანი იყო, თუმცა ძალიან მცირე თანხას შეადგენდა, ამიტომ ყველა სტუდენტისათვის იყო ხელმისაწვდომი.

ასეთი დიდი ტერიტორიის მქონე უნივერსიტეტში სტუდენტთა რაოდენობა 10000—სს არ ცდება, რის გამოც სწავლის ხარისხი სავარაუდოდ საკმაოდ მაღალია, ვიდრე საქართველოს უნივერსიტეტებში. განსხვავებულია სტუდენტების მიდგომა სწავლისადმიც. სტუდენტები უფრო ნაკლებად ზარმაცები და მეტად მოტივირებულნი არიან. მიზანი ერთია - პროფესიონალები იყვნენ თავიანთ საქმეში. განსხვავდება სტუდენტებსა და ლექტორებს შორის დამოკიდებულებაც. ლექციაზე სტუდენტს შეეძლო რაც უნდა ის ეკეთებინა, მაგრამ არ უნდა ეხმაურა. ზოგჯერ ლექციაზე სტუდენტები კომპიუტერსაც კი თამაშობდნენ, მაგრამ

ლექტორი შენიშვნას არ აძლევდა, თუმცა გამოცდებისათვის და შემეჯამებელი წერისათვის სტუდენტების უმეტესობა ყოველთვის მზად იყო. ლექტორს კონკრეტული საკითხის გარკვევის მიზნით, უნივერსიტეტის ოფიციალური (სისტემის) მეილით უკავშირდებოდნენ. არ შემიმჩნევია, რომ სტუდენტს ლექტორისათვის დაერეკოს ტელეფონზე და რაღაც ეთხოვოს. სტუდენტებს თავისუფლად შეგვეძლო ლექციიდან გავსულიყავით, ლექტორისათვის ყოველგვარი კითხვის თუ თხოვნის გარეშეც კი.

ძალიან განსხვავებული აღმოჩნდა ჩემთვის ესპანური ცხოვრება. პირველ რიგში, იქ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ დროს. ვალენსია გამოირჩევა მაღალი ტემპერატურით და სიცხით. ამიტომ ცხოვრება დილით ძალიან ადრე იწყება. მაგალითად, უნივერსიტეტში სწავლას 8 საათზე იწყებენ. მაღალი სიცხის გამო ზოგი დაწესებულება და კომპანია შუადღის საათებში (ძირითადად 2 დან 5 მდე) დაკეტილი იყო.

ის ქალაქები, რომლებიც მოვინახულე ესპანეთში ცხოვრების განმავლობაში, ყველა გამოირჩეოდა სისუფთავით და არც ვალენსია იყო გამონაკლისი. სუფთა იყო იმიტომ, რომ ამაზე ქალაქის მმართველობა და მოსახლეობაც ერთდროულად ზრუნავდა. ყოველ ქუჩაზე იყო რამდენიმე ნაგვის დიდი თუ პატარა ურნა, რაც მოსახლეობისათვის ძალიან ხელსაყრელი იყო. საზოგადოებრივი ტრანსპორტებიც არის ძალიან მოწესრიგებული და საგზაო სისტემაც. არასოდეს არ დამგვიანებია არსად საცობის გამო, გარდა ერთი შემთხვევისა, რომელიც გამოწვეული იყო იმის გამო, რომ ქალაქში ყოველ კვირა დღეს ტარდებოდა მარათონი სირბილში, რის შესახებაც მე არ ვიცოდი და შესაბამისად, არ მქონდა ინფორმაცია რომ გარკვეული ავტობუსების გადაადგილება შეფერხებით ხორციელდებოდა.

ქალაქის დაგეგმარებაც ხელს უწყობდა იმას, რომ ვალენსია ტურისტებისთვის მიმზიდველი ყოფილიყო. ძველი ქალაქის ნაწილში თანამედროვე ნაგებობის რაოდენობა მცირე იყო და ისინიც ერწყმოდა ძველი ქალაქის სტილს. ქალაქი არ გამოირჩევა გადატვირთული მაღალი ნაგებობებით".

დავით მამუჭაძე,
გაცვლითი პროგრამის მონაწილე,
მათემატიკის სპეციალობის სტუდენტი

ახალ, 2019 წელს გილოცავთ!

წარმატებულ და იმედის მომცემ წელს გისურვებთ! დღეს მნიშვნელოვანია - გონებაგახსნილი, მოქნილი, განვითარებაზე ორიენტირებული, შემოქმედი, რისკიანი, მოტივირებული, კომუნიკაბელური და შესაბამისი უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტების მომზადება. სწორი არჩევანის გაკეთების უნარი, საუკეთესოთა გამორჩევა და გამორჩეულთა სწორი მოტივირებაა საჭირო. დღეს -სწორედ დღევანდელ დღეს ნიშნავს და არა ხვალინდელს. ხვალ უფრო რთული და დინამიკური გარემო გელით. დრო აღარ ითმენს - მომავალი წარმატება ახლა და აქ იქმნება! და როგორი იქნება ის, თქვენზეა დამოკიდებული.

2019 წელი წარმატებული იქნება და ყოველი ჩვენგანი თავის წვლილს შეიტანს ამ წარმატებაში.

როსტომ ბერიძე, პროფესორი, ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი

მოგესალმებით ყველა ბსუ-ელს !

მე ვარ ესმა კარახასანოვა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი.

მინდა ბსუ-ს ყველა სტუდენტს, ადმინისტრაციას, ლექტორებს და ყველა იმ პიროვნებას, რომელიც დაკავშირებულია ამ უნივერსიტეტის განვითარებასთან, მივულოცო დამდეგი შობა-ახალი წელი.

პირველ რიგში გისურვებთ, რომ 2019 წელი ჯანმრთელად გაგეტარებინოთ და მინიმალური კავშირი გქონდეთ ჩემს მომავალ კოლეგებთან (ექიმებთან).

მინდა, რომ ეს წელი ყოფილიყოს განვითარებასთან ასოცირებული და ჩვენი უნივერსიტეტი, რომელიც ყველას ასე ძალიან გვიყვარს, მომდევნო წლის ბოლოს ყოფილიყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე ახლა არის. ამისთვის, თითოეულმა ჩვენგანმა ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ...

ასევე, მინდა გისურვოთ წარმატებული სასწავლო წელი, სტუდენტებს - იმ დონის განათლების მიღება, როგორსაც ელით ჩვენი უნივერსიტეტისგან. ყველა იმ გეგმების ასრულებას გისურვებთ, რომელსაც დაისახავთ 2019 წლისთვის.

გილოცავთ და მრავალს დაესწარით!

ERASMUS+ პროექტი

ბსუ-ში 2018-2019 სასწავლო წლიდან პლაგიატის პროგრამა ამოქმედდა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მაჩვენებლით საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად მესამე ადგილზეა. საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა საუნივერსიტეტო საზოგადოებას ხელს უწყობს არა მხოლოდ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებაში, ცოდნის დაუფლებასა და კომპეტენციების ამაღლებაში, ამასთანავე არაერთი სხვა მიმართულებით ეხმარება უნივერსიტეტს, კერძოდ, შემუშავდა და ამოქმედდა არა ერთი საგანმანათლებლო პროგრამა, მომზადდა სასწავლო კურსების რიდერები, გაიხსნა სხვადასხვა სახის ცენტრი, რომელთა მთავარი მიზანი სტუდენტთა ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდაა და ა. შ. ერთ-ერთი ყველაზე ღირებული სარგებელი, რომელიც ERASMUS+ პროექტების ფარგლებში საქართველოს უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა და მათ შორის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიიღო - პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური პროგრამის თურნიტინ-ის შეძენაა. აღნიშნული პროგრამა, რომელიც საქართველოს სხვა უნივერსიტეტების მსგავსად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2018-2019 სასწავლო წლიდან ამოქმედდა, ERASMUS+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქარ-თულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (”Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia (INTEGRITY)“ ფარგლებში პროექტის კოორდინატორმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეიძინა. სტრუქტურული ღონისძიების ეროვნულ პროექტს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 4 ევროპულ და 12 ქართულ სასწავლებელთან ერთად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით 2017 წლის 15 ოქტომბრიდან ახორციელებს და იგი 2019 წლის 14 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

პროექტის ევროპელი პარტნიორები არიან:

- როეჰემპტონის უნივერსიტეტი (niversity of Reohampton, ინგლისი);
- უფსალას უნივერსიტეტი (niversity of Uppsala, შვედეთი);
- ვენის უნივერსიტეტი (niversity of Vienna, ავსტრია);
- დუბლინის უნივერსიტეტი (Dublin City University, ირლანდია).

პროექტის ქართველი პარტნიორებია:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (კოორდინატორი);
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტი;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტი;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია;
- დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტი.

პროექტს მოგვიანებით შეუერთდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

პროექტის უმთავრესი მიზანია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლებისა და შეფასების ხარისხის განვითარება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით; აგრეთვე, ისეთი პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, აღმოფხვრასა და პრევენციას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

2-წლიანი პროექტის ფარგლებში არაერთი აქტივობა დაიგეგმა. მათ შორის:

- პლაგიატის პრევენცია და შესაბამისი ელექტრონული პროგრამის იმპლემენტაცია ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: პლაგიატის შემთხვევების გამოვლენისა და პრევენციის ინსტრუმენტის დანერგვა ქართულ უნივერსიტეტებში (პროგრამის - Turnitin ინტეგრირება არსებულ ელექტრონული სწავლების პორტალში - Moodle);
- თანმიმდევრული PR კამპანიის ღონისძიებების ორგანიზება პლაგიატის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით ქართულ უნივერსიტეტებში: PR კამპანიის დაგეგმვა და განხორციელება, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი მექანიზმი, რომელიც გათვლილია როგორც სტუდენტებზე, ასევე აკადემიურ პერსონალზე;
- ეფექტური შეფასებისა და უკუკავშირის მიწოდების მიმართულებით ტრენინგ-მოდულების შემუშავება აკადემიური პერსონალისთვის, რათა გაუმჯობესდეს სტუდენტების წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მხრივ;
- სტუდენტური სერვისების გაძლიერება და აკადემიური წერის მიმართულებით ინდივიდუალური სერვისების/კონსულტაციების (tutoring) შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტთა წერითი უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას აკადემიური კეთილსინდისიერების თვალსაზრისით;
- აკადემიური წერის კურიკულუმის გადახედვა და განახლება და წერითი კომუნიკაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროექტის ფარგლებში იგეგმება ქართული უნივერსიტეტებისთვის დახმარება პოლიტიკისა და რეგულაციების ჩარჩოს ჩამოყალიბებაში, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხიანად წარმართვას აკადემიური კეთილ-სინდისიერების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროექტი ეხმარება უნივერსიტეტებს, განავითარონ საკუთარი რესურსები (მაგ. გზამკვლევი) და დანერგონ ისეთი მნიშვნელოვანი მექანიზმები, როგორიცაა პროგრამა თურნიტინ და ელექტრონული სწავლების პორტალი Moodle - პლაგიატის შემთხვევების გამოვლენის და უკუკავშირის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი, რომლებიც ხელს შეუწყობს აკადემიური პროცესების უკეთ წარმართვას.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა პლაგიატის აღმომჩენი პროგრამა თურნიტინ 12 პარტნიორი უნივერსიტეტისთვის შეი-

---

სურვილები თუ ნატვრები, ერთმანეთისთვის თუ საკუთარი რაც გვისურვებია, ახალ წელს განსაკუთრებით მძაფრდება. ახალი წელი ახალი იმედია, ახალი შესაძლებლობებია. სულმოუთქმელად ველოდებით საათის ისრებს და ყველას, უკლებლივ ამოუცნობი ღელვა გვიპყრობს, ახალთან შეხვედრის მოლოდინითა და ახალთან შებმის დაუოკებელი სურვილით

სავსე .ახალ წელს ახალ მზესა და ახალ წვიმიან დღეებს ვუსურვებ ნებისმიერს, განურჩევლად. მზეს მზესავით საქმეების საკეთებლად, წვიმებს ფიქრის მოხმობისათვის.

დაუსრულებელი ამბის შეკვრის, ახალი მომავლის, ადამიანების დაბადების, აუხსნელი სიყვარულის ახსნის, გაფრენა-მოფრენის და ნანატრი ადგილების ნახვის წელი ყოფილიყოს. ახალი წელი ბიძგია, გადაფასების ეტაპი, მოგონებებში გვიცოცხლებს განვლილი წლის ისტორიებს, შეცდომებს... ჩემი დიდზე დიდი სურვილია, ყველასათვის ასეთი წელი ყოფილიყოს, სადაც ტკივილიც კი გაღიმებს, იმიტომ რომ იცი ეს ტკივილი ძალაა, რომელმაც უნდა შეგაძლებინოს არ დაეცე ან თუ დაეცი, ფეხზე წამოდგე და ღიმილითვე შეხვდე მარადიულ გამოწვევებს.

გილოცავთ დამდეგ ძალას! გილოცავთ დამდეგ შესაძლებლობას! გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ღვთის კალთა გვფარავდეს მთელ საქართველოს, ერთიანობის შეგრძნება არ ჩამქრალიყოს ჩვენში და მალე გაგვეერთიანებინოს ჩვენი დედა სამშობლო. სიყვარულის, სიკეთისა და მშვიდობის წელი ყოფილიყოს!

გვანცა ბაციკაძე, ქართული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტი

ჩემო ძვირფასო კოლეგებო, უნივერსიტეტელებო, გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

2019 წელს სასიკეთოდ შეეცვალოს თითოეული თქვენგანის ოჯახის შესაძლებლობები! ხვავი, ბარაქა, ჯანმრთელობა, სითბო, სიკეთე და სიყვარული დაგბედებოდეთ! დაე, ახალმა წელმა სასიხარულო საჩუქრებით გაახაროს თქვენი შვილების, შვილიშვილების, ახლობლების გულები!

ახალ წელს განსაკუთრებული სიყვარულით ვულოცავ სტუდენტებს, ჩვენს საიმედო მომავალს! ბედნიერება, წინსვლა, წარმატებები და გამარჯვება ყოფილიყოს მათი ცხოვრების მეგზური!

ვუსურვოთ ერთმანეთს, რომ ვიცხოვროთ გაბრწყინებულ, გაძლიერებულ, გაერთიანებულ საქართველოში! ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ერთმანეთის გვერდით დგომა და მხარდაჭერა! გვიყვარდეს უფრო მეტად, ვიდრე აქამდე გვყვარებია! ვიცოდეთ უფრო მეტი, ვიდრე აქამდე გვცოდნია! შეგვეძლოს უფრო მეტი, ვიდრე აქამდე შეგვძლებია!

ფეხბედნიერი ყოფილიყოს 2019 უნივერსიტეტისთვის, ჩვენი ოჯახებისთვის, სრულიად საქართველოსთვის!

მაია კიკვაძე, ასოცირებული პროფესორი

დამდეგი შობა ახალი წელი მინდა მივულოცო ყველა უნივერსიტეტელს. ეს წელი ყოფილიყოს ჯანის სიმრთელის, ერთიანობის და ეკონომიკური წინსვლის წელი. წარმატებები ლექტორ-მასწავლებლებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში, სტუდენტობას კი კარგი სწავლა და საინტერესო სტუდენტური დღეები მინდა ვუსურვო. ამ ყველაფერთან ერთად ბედნიერი ღიმილი არ მოგკლებოდეთ. გფარავდეთ უფალი.

„ბსუ დენტი“ - ს დირექტორი ფრიდონ ჯაფარიძე

„INTEGRITY“-ის მხარდაჭერით

ძინა. მისი დანერგვა ხელს შეუწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში როგორც პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, აღმოფხვრასა და პრევენციას, ასევე სწავლა-სწავლებისა და ხარისხის განვითარებას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. პროგრამის პილოტირება 2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან დაიწყო. მისი გამოყენების დეტალებისა და ბსუ-ში მისი პილოტირების საკითხებთან დაკავშირებით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სამსახურის წარმომადგენლებმა ბსუ-ს ადმინისტრაციისა და პერსონალისათვის რამდენიმე სამუშაო შეხვედრა ჩაატარეს. პირველ ეტაპზე პროექტის კოორდინატორები და ტექნიკურ დეტალებზე პასუხისმგებელი პირები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას - რექტორსა და მის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, ფაკულტეტის დეკანებს, დეპარტამენტის ხელმძღვანელებსა და იმ სასწავლო კურსების წამყვან ლექტორებს, რომლებმაც პროგრამის საპილოტე რეჟიმში ჩართვის სურვილი გამოთქვეს. ამავე პერიოდში, ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მთავარი სპეციალისტის - ამირან შარაძის მიერ მოხდა თურნიტინ-ის პლაგინის დაინსტალირება მუდლში და საპილოტე სასწავლო კურსების დარეგისტრირება, ასევე, აღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, სილაბუსების მიხედვით მასალების ატვირთვა და სტუდენტების პროგრამაში ჩართვა.

2018-2019 სასწავლო წლისთვის პროექტის კოორდინატორი მხარის მიერ პარტნიორი უნივერსიტეტებისთვის გამოყოფილ იქნა ლიცენზიების გარკვეული რაოდენობა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 2000 ლიცენზია იქნა შეძენილი, რომელთაგან 1300 ლიცენზია აკადემიური წერის სასწავლო კურსისთვის გამოიყო და შესაბამისად, პილოტირების პროცესში ბსუ-ს ყველა პირველკურსელი ჩაერთო. ლიცენზიების დარჩენილი რაოდენობა კი ბსუ-ს შვიდივე ფაკულტეტზე გადანაწილდა. პროექტში ჩართულია როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის საფეხურზე განსახორციელებელი სასწავლო კურსები. ფაკულტეტების მიხედვით კურსების ჩართვის მდგომარეობა ასეთია: ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტიდან - ლიტერატურა 3 (ლექტორები ი. შამილიშვილი, მ. თავდგირიძე), კვლევის პრაქტიკუმი (მოსამზადებელი კურსი სამაგისტრო კვლევისათვის) – (ლექტორი ლ. თავდგირიძე), საქართველოს განათლების სისტემის სტრუქტურა (ლექტორი ნ. მაკარაძე), ასტრონომია (ლექტორი ი. ჯაბნიძე), ტურიზმის ფაკულტეტიდან - ტურიზმის პოლიტიკა (ლექტორი პ. ჩაგანავა), ტურიზმის და მასპინძლობის საფუძვლები (ლექტორები ირაკლი კორძაია, თამარ ბერიძე, ნინო დევაძე), ტექნოლოგიური ფაკულტეტიდან - ლითონის კონსტრუქციები I (ლექტორები გიზო ფარცხალაძე, კოტე გოგელია), აგრომეტეოროლოგია (ლექტორი ნ. ნაკაშიძე), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტიდან - ზოგადი იმუნოლოგია (ლექტორი ლ. ახვლედიანი), ექსპერიმენტული კვლევის მეთოდები II (ლექტორი ი. დიასამიძე), ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან - საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი (ლექტორი გ. აბუსელიძე), საზოგადოებასთან ურთიერთობა (ლექტორი გ. ქათამაძე), ეკონომიკური დოქტრინები (ლექტორი მ. ცეცხლაძე), სახელმწიფო ფინანსები (ლექტორი ვ. ღლონტი), იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან - შესავალი კვლევის მეთოდებში (ლექტორი ი. ციწქილაძე), ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია (ლექტორი გ. აბაშიძე). ამასთანავე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩართულია ყველა პირველკურსელი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საუნივერსიტეტო სასწავლო კურსით - აკადემიური წერა (ლექტორები მ. ხახუტაიშვილი, მ. ბარამიძე, ნ. ცეცხლაძე, ნ. ფარტენაძე, მ.კიკვაძე, შ. მახაჭაძე, ლ. ხალვაში, თ. ავალიანი, მ. ბალაძე, დ. ახვლედიანი, ნ. ტრაპაიძე, ე. მაკარაძე, ნ. მიქელაძე). ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტმა გადაწყვიტა საპილოტე რეჟიმში ჩაერთო სამაგისტრო ნაშრომებიც (სულ 48 სტუდენტი). რამდენიმე სასწავლო კურსი, მისი წამყვანი ლექტორის გადაწყვეტილებით, პილოტირებაში 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ჩაერთვება. ეს სასწავლო კურსებია ბიოევოლუცია (მარინა ნაგერვაძე), იმუნოლოგია (ლექტორი ლ. ახვლედიანი), კვლევის მეთოდები (ლექტორი რ. ხუხუნაიშვილი). ვფიქრობთ, აღნიშნული ჩამონათვალი მეორე სემესტრში გაფართოვდება და კიდევ უფრო მეტი ლექტორი გამოთქვამს პროგრამის პილოტირებაში ჩართვის სურვილს, მით უმეტეს, რომ პროექტის კოორდინატორი მხარის მიერ გვაქვს საჭიროების შემთხვევაში ლიცენზიების რაოდენობის გაზრდის პირობა, მომავალი სასწავლო წლისთვის კი საერთოდ ლიცენზიების რაოდენობის გაორმაგებაა დაგეგმილი.

პროექტში ბსუ-დან სულ 8 პერსონალია ჩართული. პროექტის ამოქმედებიდან დღემდე კონსორციუმის არაერთი ეროვნული თუ საერთაშორისო შეხვედრა გაიმართა. პირველი ეროვნული შეხვედრა შედგა თბილისში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. შემდგომი შეხვედრები გაიმართა ვენის უნივერსიტეტში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 2018 წლის 29-31 აგვისტოს INTEGRIT-ს საერთაშორისო კონსორციუმს უმასპინძლა უფსალის უნივერსიტეტმა (შვედეთი). ტრენინგის ფარგლებში, რომელშიც ბსუ-დან 3 პირი მონაწილეობდა, ყურადღება გამახვილდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური წერის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სტუდენტური სერვისების მნიშვნელობაზე, რომლებიც მათ დაეხმარება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით ნაშრომის მომზადებაში. ტრენინგზე დეტალურად განიხილეს უნივერსიტეტის იმ სტრუქტურული ერთეულების მუშაობის პრინციპები, რომლებიც პასუხისმგებელია აღნიშნული სერვისების მიწოდებაზე.

2018 წლის 17-18 სექტემბერს INTEGRITY-ის კონსორციუმის შეხვედრა გაიმართა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს პროექტის პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა როგორც დიდი ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან, შვედეთიდან და ავსტრიიდან, ასევე პარტნიორი ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან. აღნიშნული შეხვედრა მიზნად ისახავდა პროექტის ფარგლებში გაწეული საქმიანობების შუალედური ანგარიშების წარდგენას. შეხვედრაში ბსუ-დან მონაწილეობდა 2 წარმომადგენელი.

პროექტი 2019 წლის 14 ოქტომბრამდე გრძელდება. მის დასრულებამდე არა ერთი საინტერესო ღონისძიება და შეხვედრაა დაგეგმილი. ბსუ-ს ადმინისტრაცია და პროექტში ჩართული პერსონალი აქტიურად თანამშრომლობს პროექტის კოორდინატორ მხარესთან და პარტნიორ უნივერსიტეტებთან. ეს ურთიერთობა სამომავლოდაც გაგრძელდება და ხელს შეუწყობს უნივერსიტეტს სწავლა-სწავლებისა და შეფასების ხარისხის ამაღლებაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას.

ნანა მაკარაძე,
ასოცირებული პროფესორი,
ERASMUS+ პროექტის „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ლოკალური კოორდინატორი

შობა-ახალი წელი გამორჩეული დღესასწაულია ჩემთვის, რომელსაც უდიდესი სიხარული შემოაქვს ჩემს ოჯახში. ყოველი ახალი წელი ემოციურად განსხვავებულია, თუმცა ყოველთვის დიდ მოლოდინებს ვამყარებ მაზე. მიმდინარე წელმა უამრავი საინტერესო ცვლილება შემოიტანა ჩემს ცხოვრებაში და ვფიქრობ, რომ 2019 წელი გადამწყვეტ როლს ითამაშებს ჩემი პროფესიული განვითარების პროცესში.

ჩემი სურვილია ახალი, 2019 წელი წარმატებისა და პროგრესის მომტანი ყოფილიყოს საქართველოსათვის. დარწმუნებული ვარ, რომ ერთხელაც გაერთიანებული საქართველოს სტატუსით შევხვდებით ახალ წელს და მჯერა, რომ ეს ოცნება მალე ამიხდება.

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და გისურვებთ, რომ ახალი 2019 ყოფილიყოს ხვავით, ბარაქით, სიყვარულით, სიკეთით, სიხარულით, ბედნიერებით დატვირთული წელი მთლიანად საქართველოსა და სრულიად სამყაროსათვის!

ცირა ვასაძე, სამართალმცოდნეობის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი

ძვირფასო სტუდენტებო,ლექტორებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ეს წელი ყოფილიყოს განვითარების, წინსვლის, სასიამოვნო სიახლეებისა,ახალი პერსპექტივების და მშვიდობის წელი. ვუსურვებ ჩვენს უნივერსიტეტს, რომ მუდამ განათლების სადარაჯოზე იდგეს,სტუდენტებს შესთავაზოს ახალი იდეები,მიაწოდოს ღირებული ცოდნა,რაც შემდგომ მათ დაეხმარება პროფესიონალ სპეციალისტად ჩამოყალიბებაში. ვისურვებ, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის იყოს სტუდენტის გვერდით, ერთმანეთის თანადგომით კი აუცილებლად მივაღწევთ უდიდეს წარმატებას.

წარმატებულ და ნაყოფიერ წელს გისურვებთ თითოეულ თქვენგანს!

დარინა დოლიძე, ქართული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტი

ძვირფასო სტუდენტებო, ლექტორ-მასწავლებლებო, ადმინისტრაციის თანამშრომლებო! გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. ეს წელი თითოეული თქვენგანისათვის ყოფილიყოს მშვიდობიანი, იღბლიანი, ნაყოფიერი. აგსრულებოდეთ ყველა ის ნატვრა და ოცნება, რაც 2019 წლისათვის დაისახეთ. გისურვებთ აგრეთვე ოჯახებში გახარებას, გამრავლებას და ბედნიერებას.

მინდა აღვნიშნო, რომ 2018 წელი ჩვენი უნივერსიტეტისთვის გამორჩეულად წარმატებული იყო და ვისურვებ, რომ 2019 წელი კიდევ უფრო უკეთესი ყოფილიყოს. ყოველთვის გვქონოდეს ძალა და ენერგია ახალ-ახალ გამოწვევებზე საპასუხოდ, რათა ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის იყოს მოწინავე უნივერსიტეტების რიგებს შორის.

კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგს. ერთმანეთის მიმართ ვიყოთ უფრო თბილები, კეთილები და გულისხმიერები მთელი წლის განმავლობაში.

ნინო ცინარიძე, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასისტენტ პროფესორი

ჩვენი უნივერსიტეტი ყოველწლიურად ვითარდება და უახლოვდება უმაღლეს საგანმანათლებლო დონეს. ეს თითოეული ბსუ-ელის დამსახურებაა და მადლობა მინდა გადავუხადო მათ. ასევე მადლობა



ადმინისტრაციას, რექტორის აპარატს და აკადემიკურ საბჭოს, რადგან რომ არა მათი თავდადება, ამ წარმატებას ვერ მივაღწევდით. თითოეულ სტუდენტს და უნივერსიტეტის თანამშრომელს გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, მშვიდობას, ბედნიერებას, ხვავსა და ბარაქას! თქვენი ცხოვრების ყოველი დღე აღივსოს სიხარულით, სითბოთი, სიკეთითა და სიყვარულით. 2019 წელი ყოფილიყოს სურვილების ასრულების, დასახული მიზნების განხორციელების, ახალი შესაძლებლობების აღმოჩენისა და წარმატებების მიღწევის წელი! მჯერა, რომ 2019 იქნება თითოეული სტუდენტის განვითარებისა და წარმატების წელი!

მურთაზ ჭელიძე, ისტორიის სპეციალობის სტუდენტი

გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას! მშვიდობის, სიკეთისა და სიყვარულის მომტანი ყოფილიყოს 2019 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახე-

ბისთვის! მინდა, თითოეულ თქვენგანს გულით გისურვოთ ყოველივე საუკეთესო.უფალი იყოს თქვენ მფარველი.

თამარ სულაბერიძე, დაწყებითი განათლების სპეციალობის სტუდენტი

“მინდა, რომ ვიყო ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი“

სალომე კარალიძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე სწავლა წარმატებით დაასრულა. გოგონა ამჟამად მაგისტრატურაში სწავლას საზღვარგარეთ აგრძელებს და მისივე შთაბეჭდილებებს გვიმხელს.

ჩემ შესახებ

„დავიბადე ბათუმში. 2014 წელს დავამთავრე ქალაქ ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის 1 საჯარო სკოლა. იმავე წელს ჩავაბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები და უმაღლესი სასწავლებლებიდან არჩევანი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შევაჩერე. ვსწავლობდი იურიდიულ ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამაზე. სტუდენტური წლები ძალიან ნაყოფიერად გავატარე. ბევრი რამ მივიღე როგორც უნივერისტეტისგან, ასევე იმ ადგილობრივი თუ საერთაშორისო აქტივობებისგან, რომელშიც მონაწილეობას აქტიურად ვღებულობდი. საერთოდ ვთვლი, თვითონ ადამიანზეა მეტწილად დამოკიდებული თუ რა გამოცდილებას ღებულობს იგი ნებისმიერ სიტუაციაში. მთელი ამ პერიოდის (სასკოლო თუ საუნივერსიტეტო) განმალობაში დიდი გამოცდილება დავაგროვე, რაც დამეხმარა შემდეგ აქ ჩამებარებინა. 2018 წელს ჩავაბარე ლიეტუის მიკოლას რომერისა და საფრანგეთი ბორდოეუქსის ერთობლივ ორდიპლომიან სამაგისტრო პროგრამაზე სპეცილობით - ევროკავშირის სამართალი და მმართველობა. ასევე გახლავართ აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის განათლების სამინისტროს ქვეპროგრამის ,,სწავლა საზღვარგარეთ“ გამარჯვებული. განათლების სამინისტრო სრულიად უზრუნველყოფს ჩემს სწავლას საზღვარგარეთ. აღნიშნულ უნივერისტეტზე არჩევანი მისი რეპუტაციისა და პროგრამის გამო შევაჩერე . ვთვლი, ევროკავშირის სამართალი მეტად საინტერესო და პერსპექტიულია დღევანდელი საქართველოს შრომით ბაზარზე”.

ბსუ-ს როლი

“ჩემს უცხოეთში სასწავლებლად წამოსვლაში დიდია ბსუ-ს როლი. მან მომცა სპეციალობაში ის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები, რის საფუძველზეც აქ ჩავაბარე. ასევე აღსანიშნავია, რომ გარკვეულად მქონდა პრაქტიკა ვილნიუსში წამოსვლამდე, საზღვარგარეთ ცხოვრებისა და სწავლის. 2017 წელს ვიყავი ერთი სემესტრით ბსუ-სა და ყაზახეთის ჰუმანიტარულ-იურიდიული უნივერსიტეტს შორის არსებული მემორანდუმის საფუძველზე გაცვლითი პროგრამით ასტანაში. ეს რა თქმა უნდა დიდი გამოცდილება იყო ჩემთვის. აღნიშნულმა გაცვლითმა პროგრამამ კიდევ უფრო გამიღრმავა სწავლის საზღვარგარეთ, შემდეგ საფეხურზე, გაგრძელების სურვილი”.

საუნივერსიტეტო ცხოვრების მსგავსება-განსხვავება

“საქართველოსა და ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტების საუნივერსიტეტო ცხოვრება მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან. განსხვავებების განხილვისას საყურადღებოა ორი ასპექტი - განსხვავება თვითონ სწავლების პროცესში და განსხვავება სტუდენტების დამოკიდებულებაში სწავლისა და საერთოდ განათლებისადმი. აქ სტუდენტი როცა აბარებს უნივერსიტეტში, მას უკვე გააზრებული აქვს, რომ ეს მიღებული ცოდნა მას სჭირდება სამომავლოდ და მეტწილად სერიოზულად ეკიდებიან სწავლას, ყოველ შემთხვევაში უმრავლესობა მაინც. ყოველივე ეს ნათლად ჩანს ყოველდღიური სასწავლო თუ საგამოცდო პროცესის მიმდინარეობისას. მაგ. ჩემში გაოცება გამოიწვია იმ ფაქტმა, როცა გამოცდაზე ლექტორს მოუწია აუდიტორიიდან გასვლა და ყველა სტუდენტი თავაუღებლად აგრძელებდა მუშაობას, მაშინ როცა ბსუ-ში ლექტორს დიდი ძალისხმევა სჭირდება, რომ მისივე თანდასწრებით არ გადაიწერონ სტუდენტებმა. აქ სულ სხვა დონის კულტურა, აზროვნება გააჩნიათ, რაც მაგალითად ნაკლებად აქვთ ქართველ სტუდენტებს. მაგალითად, ყველას შეიძლება ჰქონდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში რაღაც გამოუვალი მდგომარეობა, ცაიტნოტის რეჟიმი, რის გამოც ლექტორმა შეიძლება დაიგვიანოს ლექციაზე. ბათუმში აღნიშნული საკითხი განსჯის საკითხი გახდებოდა და უნივერისტეტის ადმინისტრაციასაც ეცოდინებოდა, მაშინ როცა ვილნიუსში გვქონდა მსგავსი შემთხვევა და სტუდენტები ზედმეტი პრეტენზიის გარეშე მშვიდად 30 წთ. ველოდებოდით აუდიტორიასთან ლექტორს, რომელიც საცობში მოჰყვა და დაიგვიანა.



რაც შეეხება განსხვავებას სწავლების პროცესთან მიმართებით, ვთვლი, ორივე მხარეს აქვს პლიუს-მინუსები. მაგალითად ბსუ-ში სწავლა საკმაოდ რთულია, თან თუ თვითონ გაქვს სურვილი გახდე კვალიფიციური სპეციალისტი და ცდილობ შეასრულო პროფესორის მოთხოვნები. გიწევს უამრავი მასალის სწავლა მცირე მონაკვეთში, რაც თავის დროზე ჩემში უკმაყოფილებას ინვევდა, მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან ვთვლი, რომ სწორედაც საჭიროა. ის, რომ თავის დროზე ზედმიწევნით კარგად მასწავლეს სამართლის სხვადასხვა დარგი, განსაკუთრებით გამოვყოფდი საერთაშორისო სამართალს, ეს დღეს ძალიან მეხმარება, რომ ვიყო სხვა სტუდენტებზე რამდენიმე ნაბიჯით წინ და მარტივად აღვიქვა ყველა ახალი ინფორმაცია.

რაც შეეხება აქაურ სწავლებას, ვთვლი, რომ ნამდვილად აქვთ ბევრი პლიუსი და ერთ-ერთი მათგანია ის, რომ მათ ყველა მიმართულებაში ჰყავთ აკადემიური პირები, რომლებიც პარალელურად ეწევიან პრაქტიკულ მოღვაწეობასაც. რომლის ნაკლებობასაც განიცდის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და საერთოდ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებები. ასევე ძალიან მომწონს ის, რომ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლექტორი თვითონ ადგენს სილაბუსს, შეხვედრების გრაფიკს, იმას, თუ რა კოეფიციენტი იქნება საერთო ქულიდან საგამოცდო, რამდენია მიმდინარე შეფასება. ასევე მისასალმებელია ისიც, რომ ბევრი აქტივობა ტარდება უნივერსიტეტში სტუდენტების ცნობიერების ასამაღლებლად და ამ ყველაფრის ინიციატორები თავად სტუდენტები არიან”.

სამომავლო გეგმები

“სამომავლოდ მრავალი გეგმა და მიზანი მაქვს, რომელთა მისაღწევად ჯერ კიდევ ბევრი უნდა ვიმუშაო საკუთარ თავზე. როგორც ყველა ადამიანს, მეც მინდა რომ ვიყო ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი ჩემ მიმართულებაში. რა თქმა უნდა, ბათუმში დაბრუნებას ვაპირებ. სწორედ იმისთვის ვსწავლობ, რომ უცხოეთში მიღებული ცოდნა და გამოცდილება ჩემს ქალაქს, ქვეყანას მოვახმარო, - ის ინვესტიცია, რომელიც სახელმწიფომ ჩემს განათლებაში ჩადო, შედეგიანი იყოს. სამომავლოდ ჩემს თავს საჯარო სამსახურში ვხედავ. როგორც კი დავამთავრებ მაგისტრატურას, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარებას ვაპირებ. ამასთანავე მსურს, აკადემიურ საქმიანობაშიც გამოვცადო ჩემი თავი და რა თქმა უნდა, თუ ამის შესაძლებლობა მექნება, მინდა რომ ეს იყოს ბსუ, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ჩემი უნივერსიტეტი საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში არის ერთ-ერთი მოწინავე და აქვს დიდი პერსპექტივებიც. მინდა, რომ ამ წარმატებული მომავალი საქმიანობის მონაწილე მეც ვიყო”.

მეგობრებო, კოლეგებო, სტუდენტებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ წარმატებას, სიხარულს, სიყვარულს და ბედნიერებას. 2019 წელი თითოეული თქვენგანისთვის ყოფილიყოს დასახული მიზნის ასრულების წელი, ერთგვარი სასიკეთო გარდატეხა მომხდარიყოს თქვენს ცხოვრებაში. ჩვენი უნივერსიტეტი სამშობლოს, რეგიონს ყოველთვის უზრდიდა მომავლის შვილს და ეს მისია კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობით თანამედროვე გამოწვევების კვალდაკვალ გაგვეგრძელებინოს.

უფალმა გადღეგრძელოთ. მრავალჟამიერი თითოეული თქვენგანის ოჯახს!

მამუკა გოგელია, ტურიზმის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს. ეს წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის ყოფილიყოს საუკეთესოს მომტანი. უპირველეს ყოვლისა, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს.

აგსრულებოდეთ დასახული მიზნები. გისურვებთ წარმატებებს და წინსვლას როგორც პირად, ასევე საუნივერსიტეტო ცხოვრებაში.



ქეთი მორთულაძე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის სპეციალობის სტუდენტი

ჯანმრთელობა

წყალი და ადამიანის ჯანმრთელობა

მედიკოსთა აზრით დილაობით, უზმოზე, თბილი წყლის დალევა ადამიანის ორგანიზმისათვის უაღრესად სასარგებლოა. იგი ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ნორმალურ მუშაობას, უზრუნველყოფს საკვების ადვილად გადამუშავებას და მონელებას, ხსნის კუჭში შეკრულობას. თბილი წყლის მიღება კარგია მუცლის შეკრულობისა და გაუწყლოების აღმოსაფხვრელადაც. ამასთანავე იგი ხელს უწყობს ორგანიზმის გაწმენდას ტოქსინებისგან (მომწამვლელი ნივთიერებებისგან).

თბილი წყალი აფართოებს სისხლძარღვებს და ამით აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას ორგანიზმში. ასე რომ, სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესება ერთი ჭიქა თბილი წყლითაც შეგიძლიათ.

ვიდრე წყლის სმის წესების განხილვას დავიწყებდეთ, აქ კიდევ ვაგრძელებთ საუბარს წყლის სხვა დანიშნულებათა შესახებაც. წყლის სმა ხელს უწყობს წონაში კლებას. კვების დაწყებამდე 15-20 წუთით ადრე წყლის დალევა ავსებს კუჭს და ადამიანს მაძღრობის შეგრძნებას უჩენს, რის გამოც ის ნაკლებ საკვებს მიირთმევს.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ცხელი წყლის დალევაც. ნორმალური (არა მდუღარე) ცხელი წყალი ზრდის სხეულის ტემპერატურას, რაც ხელს უწყობს ოფლის მოდინებას. ოფლის გამოსვლა ორგანიზმიდან ტოქსინების (მომწამვლელი ნივთიერებების) გამოსვლას ნიშნავს. ცხელი წყლისა და ლიმონის წვენის ერთად მიღება ადამიანს წონის დაკლებაში ეხმარება. წყლის ნორმალური სმის ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ისიც, რომ იგი აფერხებს კანის დაბერებას. ცნობილია, რომ ადამიანის კანი 30%-ით წყლისგან შედგება. დეჰიდრატაცია (გაუწყლოება) კი კანის აქერცვლასა და გამოშრობას იწვევს. ადამიანს გამოშრალ კანზე მარტივად უჩნდება ნაოჭები, რადგან ამ დროს კანი ნაკლებად ელასტიკურია. მათთვის, ვისაც გამომშრალი კანი აქვთ, თბილი წყალი კანის ტენიანობას შეუწყობს ხელს, თან ანელებს ნაოჭების წარმოქმნის პროცესს.

ადამიანის ორგანიზმისათვის წყლის მნიშვნელობის ამ ზოგადი განხილვის შემდეგ, გთვაზობთ წყლის ყოველდღიური სმის წესებს, რომელთა დაცვა აუცილებელია თქვენი ორგანიზმის ჯანმრთელობისათვის.

1. დილას, ლოგინიდან ადგომისთანავე, უნდა დალიოთ დიდი ჭიქით თბილი წყალი. თუ ადგომას დააგვიანებთ, ასეთი წყალი უნდა დალიოთ საუზმობამდე ნახევარი საათით ადრე.

2. საუზმის შემდეგ, 2 საათის მანძილზე, წყალი არ უნდა დალიოთ. ამის შემდეგ, სადილობამდე ეცადეთ დალიოთ რამდენიმე ჭიქა წყალი, ხოლო სადილის წინ ნახევარი საათის მანძილზე აღარ დალიოთ წყალი. სადილობის შემდეგ, ისევ 2 საათით, შეაჩერეთ წყლის სმა. ამ დროის გასვლის შემდეგ, ვახშმობამდე განაგრძეთ წყლის სმა (დროის გარკვეული შუალედებით). სასურველია ვახშამი ჭამოთ საღამოს 7 საათამდე და შეწყვიტოთ წყლის სმაც. თუ ვახშმის შემდეგ ადრე (11-12 საათამდე) არ დაწვებით და გაგიჩნდათ შიმშილის გრძნობა, ჭამეთ მხოლოდ ხილი. ხილის ჭამა სასარგებლოა დღისითაც, ოღონდ კვების რეჟიმთან თანხმობით (ხილი არ უნდა მიირთვათ სხვა საკვებთან ერთად). ვახშმის შემდეგ, დაწოლამდე თუ გაგიჩნდათ წყურვილის შეგრძნება, შეგიძლიათ დალიოთ ჩვეულებრივი ან მწვანე ჩაი (მისაყოლებლის გარეშე). თუ ამ დროს ყავას მიირთმევთ, მიაყოლეთ წყალი ან კომპოტი.

3. სასმელი წყალი უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზმის ტემპერატურას, ამიტომ ეცადეთ ყოველთვის უარი თქვათ მაცივარში შენახულ წყალზე. უარი თქვით წყლის დალევაზე ჭამის პროცესშიც (იმიტომ, რომ თუ ასეთი წყალი ოდნავ ცივია, აბრკოლებს საჭმლის მონელებას).

4. წყლის სმის ყოველდღიური ნორმები ასეთია: დაბალი ან საშუალო წონის ადამიანებმა უნდა დალიონ ლიტრნახევრიდან 2 ლიტრამდე წყალი, მძიმე წონის ადამიანებმა – 3 ლიტრზე მეტი წყალი. თუმცა ეს მაჩვენებელი წელიწადის დროის მიხედვით გარკვეულად იცვლება - ცხადია, ზაფხულში მეტი სითხე უნდა მივიღოთ, ვიდრე ზამთარში. სასმელი ჭიქით წყლის ერთჯერადი დალევა ხდება არაერთდროულად – ყლუპებით.

5. კიდევ ერთი ასეთი რჩევა მიიღეთ: საჭმელი ყოველთვის ჭამეთ გაძღომამდე. გადაძღომა იწვევს წონაში მატებას და ხელს უშლის კუჭ-ნაწლავის ნორმალურ მუშაობას, წარმოშობს სხვა პრობლემებსაც. კვებაზე აქ იმიტომ ვლაპარაკობთ, რომ წყლის სმა ძირითადად მასთან არის დაკავშირებული.

გისურვებთ წყლის სმისა და კვების ამ წესების დაცვაში წარმატებებს და მტკიცე ჯანმრთელობას!

რომან ზოსიძე - იოგას კონსულტანტი

სამეცნიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში – III“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა თემაზე: „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-III“. ქართველი და უცხოელი მკვლევარები სამი დღის განმავლობაში განიხილავენ ისეთ აქტუალურ თემატიკას, როგორიცაა: ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული მიდგომები, ეროვნული თვითმყოფადობა და კულტურული მრავალფეროვნება, კორპუსული ლინგვისტიკა და დიგიტალური ჰუმანიტარია. სესიის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს 200-ზე მეტი ქართველი მეცნიერი საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, 20-მდე უცხოელი (იაპონიიდან, იტალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, უკრაინიდან) და 40-მდე დოქტორანტი. ახალგაზრდა მკვლევარებისათვის დაგეგმილია პოსტერ-მოხსენებათა სესია და მრგვალი მაგიდა.

საერთაშორისო ფორუმი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების კვლევას, როგორიცაა: საყოველთაო გლობალიზაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეპოქაში ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების ახალი ტენდენციები, ამ ცვლილებების არსი და კვლევის მეთოდები.

კონფერენციაზე იმუშავებს შემდეგი სექციები: ფილოსოფია; ისტორია და ეთნოლოგია; არქეოლოგია; ლინგვისტიკა (ქართველური ენები, ევროპული ენები, ლექსიკოგრაფია და ტერმინოლოგია, თარგმანმცოდნეობა, სემიოტიკა, კორპუსული ლინგვისტიკა); ლიტერატურათმცოდნეობა; კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინოლოგია; სემიოტიკა, მასმედია და კულტურათშორისი კომუნიკაცია; ციფრული ჰუმანიტარია.

კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები კრებულის სახით გამოქვეყნდება.

სამენიერო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში - III“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით მესამედ ტარდება, პირველი კონფერენცია 2009 წელს გაიმართა, ხოლო მეორე - 2014 წელს.

კიდევ რამდენიმე დღე და 2018 წელი უკვე ისტორიის კუთვნილება იქნება. მეგობრებო, ძვირფასო სტუდენტებო, პროფესორ-მასწავლებლებო, გილოცავთ ახალ, 2019 წელს. გისურვებთ, ყველა ის იმედი და სურვილი აგსრულებოდეთ, რაც ახალი წლისთვის დაისახეთ. დამდეგი 2019 წელი ყოფილიყოს წარმატებული მომავლის, ახალი აღმოჩენების, წინსვლისა და განვითარების წელი ჩვენი უნივერსიტეტისათვის. თანადგომით, ახალი იდეებით, ვეცადოთ, რომ კიდევ ერთი წარმატებული ნაბიჯი გადავდგათ ჩვენს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მსოფლიოში დაისადგუროს მშვი-

დობამ და ჩვენი განათლების საფუძველზე აშენდეს ძლიერი, მყარი, მსოფლიო მასშტაბით სახელგანთქმული ქვეყანა.

ხატია ანთაძე, ქართული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტი

ჩემს კოლეგებს, ჩემს სტუდენტებს, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდი

ოჯახის წევრებს, ვულოცავ დამდეგ 2019 წელს. ვუსურვებ, ახალი წელი ყოფილიყოს ბედნიერების და წარმატებების მომტანი,ყველა საახალწლო სურვილის ასრულების წელი.

მაია ძაძამია, ასოცირებული პროფესორი

ბსუ-ს სტუდენტური კაფე

2018 სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს სასწავლებელში ახალი და ბევრად უკეთესი სიტუაცია დახვდათ როგორც ინფრასტრუქტურული, ისე კვების თვალსაზრისით. გაიხსნა ახალი კაფეტერია სულ სხვა გარემოთი და მრავალფეროვანი მენიუთი. მზარეულთა გუნდი 3 წლის ვადით ტენდერის საფუძველზეა შერჩეული - სულ 11 ქალბატონი, რომელთაგან ყველას თავისი მოვალეობა აკისრია. ისინი ერთობლივი ძალებითა და მონდომებით ცდილობენ ასიამოვნონ როგორც სტუდენტები, ასევე ლექტორ-მასწავლებლები.

ქალბატონი რუსიკო, მზარეულების ე. წ. უფროსი, ყველაფერზეა პასუხისმგებელი. სურსათის ხარისხი მისთვის უპირველესია, ამიტომაც თავად მიდის საყიდლებზე, არჩევს სანოვაგეს და მთელ გულს დებს თითოეული კერძის მომზადებაში. სტუდენტები დღითიდღე მატულობენ და აღტაცებულნი რჩებიან კაფეტერიის თანამშრომლების მიერ მომზადებული კერძებით.

მენიუ შერჩეულია მზარეულებისა და სტუდენტების მიერ. შერჩევის დროს ორივე მხარე იღებდა შედგენაში მონაწილეობას. აქ თქვენ გელოდებათ როგორც ცომეული, ასევე მრავალგვარი სალათები (ოლივიე, ქათმის, კრაბის სალათები და სხვა). თავიდან საკვებზე ფასები სტუდენტურ სახსრებზე ოდნავ მაღალი იყო. ამის გამო საკვები გაიაფდა, თუმცა ხარისხი აბსოლუტურად არ შეცვლილა.

გასულ წელთან შედარებით ფართი გაიზარდა და სტუდენტთა აუარებელი ჯგუფი ატარებს დროს კაფეტერიაში. იქ ჯდომა მართლაც კომფორტულია.

მარიამ მახარაძე მენეჯმენტის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტია, რომელიც კაფეტერიას ხშირად სტუმრობს ხოლმე.

— მარიამ, მგონი კაფეტერია შენი მუდმივი სამყოფელია. მაინტერესებს, ხარ თუ არა კმაყოფილი მომსახურების ხარისხით და რამეს თუ ურჩევდი პერსონალს?

— შემოვდგი თუ არა უნივერსიტეტში ფეხი, მაშინვე რაღაც გემრიელის სუნი ვიგრძენი. მივყევი ამ გემრიელ სუნს და თავი უნივერსიტეტის სარდაფში ამოვყავი. ...წინ დამხვდა დიდი სიურპრიზი ახალი ბუფეტის სახით. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენად გახარებული და ბედნიერი ვიყავი იმ წამს, რადგან როგორც კი შევედი, მეგონა, სადღაც კარგ კაფეში ვიყავი.

ძალიან მომეწონა ახალი დიზაინი და რაც მთავარია, გემრიელ კერძებთან ერთად სისუფთავე... ამ გარემომ იმდენად გამიტაცა, რომ დღესაც შესვენებებზე ყოველდღიური სტუმარი ვარ. ძალიან მომეწონა და შემიყვარდა იქაურობა, მომსახურების ხარისხიც მაღალია, ფასებიც ნორმალური, ღიმილიანი სახეებით გეგებებიან. ცდილობენ, არც ერთი სტუდენტი უყურადღებოდ არ დატოვონ..

ძალიან კარგი და საყვარელი მზარეულები გვყავს, ერთ პატარა რჩევას მივცემდი... ჩუმი და მშვიდი სონატები მოგვასმენინონ ხოლმე მეტი განწყობისთვის. სხვა ყველაფერი იდეალურია...

სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ ბსუ-ში არსებული ბუფეტის შესახებ და იმედოვნებენ მის კიდევ უფრო გაფართოებას...

თიკო კვაჭაძე, ქართული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, გილოცავთ დამდეგ 2019 წელს. გისურვებთ წარმატებებს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას, იმედები გაგმართლებოდეთ, სურვილები აგსრულებოდეთ, დასახული მიზნისათვის

მიგეღწიოთ. ყოველივე ახალს მოაქვს გარკვეული სიახლეები, დამდეგ 2019 წელს თითოეული თქვენგანისათვის და საერთოდ ჩვენი უნივერსიტეტისთვის, მოეტანოს სასიკეთო სიახლეები და ცვლილებები.

ცირა ქამადაძე, ასისტენტ პროფესორი

მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო. გილოცავთ დამდეგ შობა–ახალ წელს და გისურვებთ, რომ 2019 წელი ყოფილიყოს ხვავით, ბარაქით, სიკეთით, სიხარულით, სიყვარულით, ბედნიერებით დატვირთული წელი თითოეული თქვენგანის, მთლიანად საქართველოს და სრულიად სამყაროსათვის! თითოეულ სტუდენტს ვუსურვებ წარმატებასა და კარიერულ წინსვლას.

დიანა ირემაძე, დაწყებითი განათლების სპეციალობის სტუდენტი

მოხარული ვარ რომ, მეძლევა საშუალება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსით მოგილოცოთ ახალი წელი. ამ მნიშვნელოვან დღეს ვულოცავ სტუდენტებს, სტუდენტები წარმოვადგენთ ჩვენს უნივერსიტეტს.

ასევე ვულოცავ ახალ წელს ლექტორ-მასწავლებლებს. მათ ნამდვილად დიდი მისია აკისრიათ ახალი თაობის, პიროვნების, წარმატებული მოქალაქის შექმნაში, რომელიც იქნება პროფესიონალი და ღირებულებებზე ორიენტირებული.

განათლება ქვეყნის პრიორიტეტია!

მინდა, ვუსურვო თითოეულ სტუდენტს იყოს სამოქალაქო საზოგადოების და ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემოს აქტიური მშენებელი. მათ ნაყოფიერად გამოეყენებინოთ სტუდენტობის წლები, რათა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ.

ვისურვებ, რომ მომავალი ჩვენი სტუდენტებისთვის იყოს უფრო ნაყოფიერი, ახალი გამოწვევებით სავსე და წარმატებული.

ჩემთვის ძალიან სასიმოვნოა, რომ ვარ ამ პროცესების მონაწილე და წარმოვადგენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

გილოცავთ!

გიორგი ბოლქვაძე, აგროეკოლოგიის სპეციალობის მე-4 კურსის სტუდენტი

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე



გაზეთი დაიბეჭდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში